ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 104 (12 479) 5 მაისი ორშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

Beijing 2008
დარჩა 95 დღე





## ასათიანის პირველი მატჩი ტრავმის შემდეგ

ქართული ლეგიონი »»» 4-5

## მილანმა ინტერი არ აზეიმა

იტალია. სერია A »»» 8

# ჩემპიონთა აღლუმი




საქართველოს ჩემპიონატი »»» 3-4







პრიმერა დივიზიონი »»» 7

ბუნდესლიგა »»» 9

## ყრილობა არ შედგება!

რაც ოპოზიციას სურს, ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტებს არ სურთ »»» 2



## ფედერაცია ადასტურებს: ივანკოვიჩი სუპერფავორიტია

ინტერვიუ უჩა უგულავასთან »»» 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთის ფედერაციის ვადამდელი ყრილობა არ იქნება!

## 34 სუბიექტი რიგგარეშე ყრილობის წინააღმდეგია

საფეხბურთო ოპოზიცია - მოძრაობა "ჩვენი ფეხბურთი" (მიხეილ ყაველაშვილი), ქომაგთა ლიგა (გურამ პეტრიაშვილი) და კავშირი "გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს" (მამუკა კვარაცხელია) ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის დანიშვნასა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვენ. 21 აპრილს ჭადრაკის სასახლეში გამართულ თავყრილობაზე, მათ ფედერაციის პრეზიდენტისა და აღმასკომის შემადგენლობას გადადგომისთვის 13 მაისამდე მისცეს დრო. საფეხბურთო ოპოზიციამ ისიც კარგად იცის, რომ მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარებისთვის ფედერაციის უმაღლეს ორგანოში (ყრილობას ვგულისხმობთ), ხმის უფლების მქონე 4 სუბიექტის მოთხოვნაა საკმარისი. ხმის უფლების მქონე, სულ 35 სუბიექტია. როგორც ირკვევა, 34 მათგანი რიგგარეშე ყრილობის მოწვევასა და ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს ეწინააღმდეგება.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი სუბიექტების**

განცხადება

**ვაცხადებთ, რომ კატეგორიული წინააღმდეგები ვართ, ჩატარდეს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნით, რადგან სამისოდ არანაირი სამართლებრივი ან თუნდაც მორალური საფუძველი არ არსებობს. ჩვენი პოზიცია იყო, არის და იქნება, რომ ქართული საფეხბურთო ოჯახისთვის, ზოგადად ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ერთიანობას. ამიტომ ვაცხადებთ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ყველანაირად მხარში ვუდგავართ ჩვენი ფეხბურთისა და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.**

ხელს ვაწერთ:

1. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა (პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი**);
2. საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი (თავმჯდომარე **ვაჟა ჟვანია**);
3. საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი (თავმჯდომარე **სერგო კოტრიკაძე**);
4. საქართველოს ფუტსალის ასოციაცია (პრეზიდენტი **კახა დევდარიანი**);
5. საქართველოს მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა კავშირი (**ავთანდილ შალამბერიძე**);
6. საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაცია (გენერალური მდივანი **ნინო რატიანი**);
7. საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაცია (პრეზიდენტი **შოთა ბაქრაძე**);
8. საქართველოს ბიჩსოკერის ასოციაცია (პრეზიდენტი **ზაზა ციციშვილი**);
9. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია (გენერალური მდივანი **რევაზ მგელაძე**);
10. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი **მურად ანჯაფარიძე**);
11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი **დავით თავართქილაძე**);
12. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი **ნუგზარ ბექაური**);
13. შიდა ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი **თემურ გიგუაშვილი**);
14. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი **გია შარაბიძე**);
15. გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი **დურმიშხან ჩხაიძე**);
16. კახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი **გოჩა როსტომაშვილი**);
17. იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი **ვალერი მანაგაძე**);
18. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი **სერგო კვარაცხელია**);
19. სამხრეთ ოსეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი **იგორ ხუბეჟოვი**);
20. ქვემო ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი **ლაშა მინდელი**);
21. ფეხბურთის კლუბი "ამერი" (პრეზიდენტი **ზურაბ ფოცხვერია**);
22. საფეხბურთო კლუბი "ლოკომოტივი" (პრეზიდენტი **ალექსი თოფურია**);
23. საფეხბურთო კლუბი "ზესტაფონი" (პრეზიდენტი **ილია კოკაია**);
24. საფეხბურთო კლუბი "მესხეთი" (დირექტორი **გიორგი მესხელი**);
25. საფეხბურთო კლუბი "დინამო თბილისი" (მმართველი დირექტორი **გიორგი ტყავაძე**);
26. საფეხბურთო კლუბი "სიონი" (დირექტორი **ნუგზარ ლომთაძე**);
27. საფეხბურთო კლუბი "დინამო ბათუმი" (დირექტორი **თამაზ ცინარიძე**);
28. საფეხბურთო კლუბი "დილა" (პრეზიდენტი **მიხეილ ლურსმანაშვილი**);
29. საფეხბურთო კლუბი "სპარტაკი" (პრეზიდენტი **დიმიტრი სანაკოევი**);
30. საფეხბურთო კლუბი "მგლები" (დირექტორი **რევაზ პერტაია**);
31. საფეხბურთო კლუბი "ვიტ ჯორჯია" (პრეზიდენტი **გურამ რუხაძე**);
32. საფეხბურთო კლუბი "მერანი" (პრეზიდენტი **დილარ ხაბულიანი**);
33. საფეხბურთო კლუბი "ოლიმპი" (დირექტორი **ბადრი ქარქაშაძე**);
34. საფეხბურთო კლუბი "ბორჯომი" (დირექტორი **ვახტანგ მაისურაძე**).

არჩევნებში ხმის უფლების მქონე ერთადერთი სუბიექტი, რომელმაც განცხადებას ხელი არ მოაწერა, მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციაა, რომელსაც **ვოვა გუცაევი** ხელმძღვანელობს. თუმცა როგორც ფედერაციის თავკაცმა **ნოდარ ახალკაცმა** "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა, ფიზიკურად ვერ მოხერხდა გუცაევთან დაკავშირება. არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, გუშინ ვერც ჩვენ დავუკავშირდით მას.

*"უპირველეს ყოვლისა, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და პაუზის შემდეგ თბილისის "დინამოს" ჩემპიონობა მივულოცო. ამ ტიტულოვანმა კლუბმა კიდევ ერთი ჯილდოთი გაიმდიდრა ნარსული.*

*ერთსაც აღვნიშნავდი, "დინამო" და ფედერაცია გულდაწყვეტილები ვართ და დიდ წუხილს გამოვთქვამთ გოგიტა ლობჟანიძის ტრაგიკული დაღუპვის გამო. გარდაცვლილის ოჯახს ყველანაირად მხარში ვუდგავართ.*

*რაც შეეხება განცხადებას, მისი ტექსტი ყველაფერზე მეტყველებს და ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია. ეს განცხადება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ფედერაციის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას ყველა ეწინააღმდეგება და ეს თემა ამონურულია. ერთადერთი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ვლადიმერ გუცაევს ვერ დავუკავშირდით ფიზიკურად. შევეცდებით, მოკლე ხანში დავუკავშირდეთ და მისი აზრი გავიგოთ"*, - განაცხადა ნოდარ ახალკაცმა.

**დავით ცაბაძე**

სამწვრთნელო საკითხი

# ბრანკო ივანკოვიჩი: პრინციპში, საკითხი გადაწყვეტილია

## უჩა უგულავა: ბრანკო ივანკოვიჩი 95 პროცენტით ნაკრების მწვრთნელია

გუშინ "სპორტ-ტაიმში" ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა ის, რასაც "ლელო" ორი კვირის წინათ წერდა – საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ხორვატი ბრანკო ივანკოვიჩის დანიშვნა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

ინფორმაციის გადასამოწმებლად ჯერ თავად ხორვატ სპეციალისტს დავუკავშირდით.

**- ბატონო ივანკოვიჩ, დიდი ხნის წინ გახდა ცნობილი, რომ ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკებას თბილისში დაასრულებდით...**

- დიახ, 6 მაისს თბილისში ვიქნები და მოლაპარაკება გვექნება.

**- ჩვენთან უკვე ცნობილია, რომ თქვენ, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელად მუშაობაზე ფაქტობრივად, თანხმობა განაცხადეთ.**

- შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ ჯერ საკითხი 100 პროცენტით არ გადაწყვეტილა.

**- რა დარჩა დასაზუსტებელი? ამის შესახებ, ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ხელმღვანელობამ, პრინციპში, უკვე თქვა კიდეც, რომ ყველაზე რეალური კანდიდატი ბრძანდებით.**

- შესაძლოა, ასეც იყოს. საინტერესო შემოთავაზებაა და ვნახოთ.

**- ანუ, 99 პროცენტით გადაწყვეტილი საქმე ყოფილა, თქვენი დანიშვნა.**

- 99 პროცენტით? ვნახოთ, ჩამოვალ და საბოლოოდ დავილაპარაკებთ.

**- როგორც ჩანს, თქვენთვის ქართული მხარის პირობები მისაღებია.**

- დიახ, ასეა. დეტალებია დასაზუსტებელი.

**- სამშაბათს კონტრაქტს გააფორმებთ?**

- ჩამოვალ და ვნახოთ.



ბრანკო ივანკოვიჩი

კომენტარი ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივარ **უჩა უგულავასაც** ვთხოვეთ.

**- ბატონო უჩა, ივანკოვიჩს კონტრაქტს როდის უფორმებთ?**

- ეს ბოლომდე გადაწყვეტილი არაა, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ივანკოვიჩის დანიშვნის დიდი ალბათობა არსებობს.

**- თავად თქვა, რომ პრინცპში საკითხი გადაწყვეტილია. "სპორტ-ტაიმში" ფედერაციის ხელმძღვანელობის კომენტარებიც ამაზე მიუთითებდა.**

- 6 მაისს თბილისში ჩამოვა და ყველაფერზე დეტალურად მოვილაპარაკებთ. ისე, მთავარი მწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატი ივანკოვიჩია. ის ყველაზე რეალურია თუნდაც ჩვენს მიერ მოთხოვნილი პირობების გამო, კაცი თანახმაა, საქართველოში იცხოვროს, აიყვანოს ქართველი ასისტენტი... ორი ასისტენტიდან ერთი ქართველი იუნდა იყოს, აქაურ ვითარებაში იოლად რომ გაერკვეს.

**- ქართველ ასისტენტად ვინ შესთავაზეთ?**

- კონკრეტულად ვერ გეტყვით, მაგრამ სამი-ოთხი კანდიდატურა მივაწოდეთ და თავად გვითხრა, რომ ასე აჯობებს. ეს უხერხული თემაა და არ მინდა, ყველაფერი ვთქვა.

ხორვატი მისაღებია თუნდაც საკონტრაქტო პირობებზე დათანხმების გამო. კონკრეტულ პირობებს პლუს, გასვლის შემთხვევაში შეთავაზებული თანხა, მისთვის მისალები აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, თავად გვითხრა, რომ მუშაობის სურვილი გააჩნია. 6 მაისს ჩამოვა და ორ დღეში ვიტყვით პასუხს, კონტრაქტს ვისთან გავაფორმებთ.

**- მოკლედ, ივანკოვიოჩია მთავარი მწვრთნელი და ჯერ ვერ ამბობთ.**

- ამას 95-პროცენტიანი სიზუსტით თუ გეტყვით.

**- ის დარჩენილი ხუთი პროცენტიც 6 მაისს მიემატება და ეგაა და გორის ციხე...**

- ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი გვაქვს. ვიმეორებ, ივანკოვიჩი ყველაზე რეალური კანდიდატურაა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბათუმს გადარჩენის თეორიული შანსიღა დარჩა

**მესხეთი-ბათუმი**

**3:2**

2.05. ახალციხე. მ. იაძე

500 მაყურებელი

1:0 კოშკაძე (4), 2:0 კოშკაძე (11), 2:1 ქებაძე (65. პენალტით), 2:2 ჩხეტიანი (81. ბაბუნაშვილის პასით) 3:2 სამადაშვილი (87. ინასარიძის პასით)

მესხეთი: სომხიშვილი - თ. ლონლაძე, კობესაშვილი, ლ. მერებაშვილი, კ. ხანიშვილი - მ. თაყაძე, ლეკიშვილი, ინასარიძე, კოშკაძე (75. რაქვიაშვილი), გვირჯიშვილი (90. სუდაძე) - მუშკუდიანი (86. სამადაშვილი).

*სათადარიგოები:* ძამუნაშვილი, თელიაშვილი, ნადირაშვილი, კიკნაძე.

ბათუმი: სტურუა - კუნჭულია, თედორაძე, კ. მახარაძე, ბაჯელიძე - ქებაძე, ცანავა (58. ბეჟანიძე), ბაბუნაშვილი, დემურიძე (46. გ. ჩხეტიანი) - გიორგი ნოდ. ჭელიძე, კაკალაძე.

*სათადარიგოები:* გალოგრე, ტუღუში, ლ. მახარაძე.

გაფრთხილება: კოშკაძე (46), ბაბუნაშვილი (52), კობესაშვილი (65), ბეგლარ თედორაძე (69), ბაჯელიძე (88), მერებაშვილი (90)

არბიტრი: ლ. სილაგავა

ეს შეხვედრა რომ წაგვეგო, ვისთვის უნდა დამემტკიცებინა, რომ თამაში არ დაგვითმიაო, აღნიშნა მატჩის ბოლოს, "მესხეთის" პრეზიდენტმა **გია მესხელმა.**

არა და საკმაო შანსი იყო "მესხეთს" თამაში მინიმუმ ვერ მოეგო.

დასამტკიცებელი კი მესხელს "ბათუმის" სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე ექნებოდა.

გასავარდნ ზონაში მყოფ აჭარლებს უმაღლესში დარჩენისთვის ქულები ჰაერივით სჭირდებათ.

პირველ ტაიმში მასპინძლებმა სტუმრები დაჯაბნეს. საწყის 45 წუთში **ალექსანდრე კოშკაძემ** ბენეფისი მოიწყო. ორი ლამაზი გოლი გაიტანა. კოშკაძეს კარგად აუბეს მხარი **გვირჯიშვილმა, ინასარიძემ** და **მუშკუდიანმა.** კარგი იყო **ლეკიშვილიც.**

მეორე ნახევარში ბათუმელებმა აშკარად უკეთ ითამაშეს. შეცვლაზე შესული **გაგა ჩხეტიანი** სტუმართათვის საკმაოდ დიდი ძალა აღმოჩნდა. გამორჩეული იყო **შოთა ბაბუნაშვილი.** ბათუმელებმა მეტოქეზე დაწოლა გააძლიერეს. ისიც აშკარად გამოჩნდა, რომ შესვენების შემდეგ ახალციხელები მოდუნებულები იყვნენ. მწვრთნელი **კობა თედიაშვილი** შეცვლებით შეეცადა გუნდის გამოცოცხლებას, რამაც საბოლოოდ შედეგიც გამოიღო. სტუმართა მეორე გოლმა "მესხეთი" გამოაფხიზლა და შეცვლაზე შესული **სამადაშვილის** ბურთზე პირველივე შეხება გოლით დასრულდა - ბურთის გასატანად ორმოცი წამი დასჭირდა.

მატჩის დასრულება და ბათუმელთა პროტესტი ერთ იყო. სტუმართა კლუბის ხელმძღვანელობამ არბიტრი დაადანაშაულა. ისინი ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **უჩა უგულავასაც** კი დაუკავშირდნენ.

*"დიახ, მატჩის შემდეგ "ბათუმის" ხელმძღვანელები დამიკავშირდნენ. მათი აზრით, არბიტრმა სერიოზული შეცდომები დაუშვა. თავისი პოზიცია აქვს "მესხეთსაც". რამდენადაც ვიცი პირველი გოლი სწორედ მასპინძლებს არ ჩაუთვალეს...*

*მართალი გითხრათ, ორივე მხარეს მოვუსმინეთ. წინასწარ ძნელია რაიმეს თქმა. ამ დღეებში თამაშის ვიდეოფირს ვნახავთ, დეტალურად განვიხილავთ და თუ მსაჯებმა სერიოზული შეცდომები დაუშვეს, მაშინ ისინი დაისჯებიან"*, - განმარტა უჩა უგულავამ.

**დავით ცაბაძე**

ახალციხე-თბილისი

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**.

მისამართი: **0159 თბილისი, ახმეტელის 10ა** (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 46 32 62**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX**.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XXIV ტური

# დუშანის დუშაში

## უჰრინმა სიმაღლე მეორე ცდაზე დაძლია



საჩემპიონო გოლი მათე ვანაძემ გაიტანა

**ზესტაფონი-დინამო**

**0:1**

**3.05. ზესტაფონი. ცენტრალური**
**8000 მაყურებელი**

0:1 ვანაძე (55)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - თოდუა, ლობჟანიძე, ლონლაძე, აკუასაგა - ონიანი, ვიეირა, კესანი, ნ. კვასხვაძე - გელაშვილი (46. იონანიძე), გოცირიძე (66. ბიტოო).

სათადარიგოები: ჭანტურია, ხიდეშელი, საცერაძე, დაუშვილი, სანტოსი.

დინამო: ოვონო - შ. კაშია (83. გ. კაშია), ზელიჩი, კრმკო, გველესიანი - დილმელაშვილი, ხმალაძე, ოდიკაძე, ხუციშვილი (89. ფირცხალავა) - ვანაძე, აკირემი (72. სპასოევიჩი).

სათადარიგოები: ლორია, დობეში, ფირცხალავა.

გაფრთხილება: ვანაძე (59), ვიეირა (60), ხმალაძე (63), დილმელაშვილი (90), ზელიჩი (90).

გაძევება: ვიეირა (87)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**4.** ვიეირა მარცხნიდან შევიდა საჯარიმოში, მახვილი კუთხიდან უძლიერესად გაისროლა და ბურთი ხარიხას გაუხახუნა.

**10.** ვიეირა მარცხნიდან მშვენიერი რეიდით შედის საჯარიმოში, აწვდის გელაშვილს, ის კი პასს უგორებს გოცირიძეს, რომლის დარტყმულიც ოდნავ სცდება კარს.

**34.** გოცირიძემ საჯარიმოს სიახლოვეს დაკარგა ბურთი, რითაც კარგად ისარგებლა ხუციშვილმა, მიუახლოვდა კარს და ძლიერად დაარტყა. ბურთი კვასხვაძემ მოიგერია.

**39.** აკირემი-ვანაძე-ხუციშვილის სწრაფი სამსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის დარტყმით სრულდება.

**55.** 1:0 - ოდიკაძემ შეტევაში ჩართო კაშია. მან სწრაფი, გამჭოლი პასი გააკეთა საჯარიმოში. ბურთი თოდუას მოხვდა და ვანაძეს მიუვიდა, რომელმაც მოჭრილი ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა.

**62.** სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ ოდიკაძე ხელსაყრელი მდგომარეობიდან არაზუსტად ურტყამს.

მატჩს ბევრ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი, რომელთაგანაც უმთავრესი "დინამოს" ნაადრევად გაჩემპიონებაარგაჩემპიონობა იყო. ეს იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ თბილისელები ზესტაფონში მოიგებდნენ, ვიტელები კი ქულებს დაკარგავდნენ. "ზესტაფონს" თავისი საკითხავი და საფიქრალი მოსძალებოდა, რაც უეფას ზონაში მოხვედრასა და პრინციპული ნახევარფინალის წინ გუნდის მომზადების დონეს შეეხებოდა. ერთი სიტყვით, ტრიბუნაზე შეკრებილი 8000 მაყურებელი დიდ ამერიმერულ ჯახსა და საფეხბურთო ზეიმს ელოდა. თუმცა შეხვედრის შემდეგ საზეიმოდ საქმე მხოლოდ სტუმრებს მიეცათ, მასპინძლებს კი პასუხგაუცემელი კითხვები უფრო მეტი დაუგროვდათ და თან საკმაოდ დაუმძიმდათ საერთო ფონი. მეტოქე მწვრთნელებმა, მცირე გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, საბრძოლო შემადგენლობები გამოიყვანეს. ორივეს გათვლა ცენტრში დომინირებას, მერე კი სწრაფი შეტევების განხორციელებას ეფუძნებოდა, თუმცა სტრატეგიული გეგმისა და ჩანაფიქრის განხორციელება მხოლოდ **უჰრინმა** შეძლო.

მატჩი ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო. დებიუტი მასპინძლებისა იყო, **ვიეირა** მშვენიერი დრიბლინგით შეიჭრა საჯარიმოში და მახვილი კუთხიდან დაარტყა სახიფათოდ. მალე, მეათე წუთისთვის, იგი ისევ ყურადღების ცენტრში მოექცა, ისევ მარცხენაფლანგური სწრაფი რეიდი და ჩაწოდება, რომელსაც გოცირიძის კარგი დარტყმა მოჰყვა - ბურთი მარჯვენა ცხრიანს სულ მცირედით ასცდა. სამწუხაროდ, "ზესტაფონს" მხოლოდ ეს კინკილა დებიუტი ჩაეწერა აქტივში და მას ვერაფერი შემატა. რაც შეეხება "დინამოს", საწყისი მღელვარების შემდეგ, ნახევარდაცვის კვარტეტის აქტიური და მობილური თამაშის შედეგად, უპირატესობა მოიპოვა. სტუმრებმა შეტევაში სწრაფი გადაადგილებებით, ბურთის ართმევისას კი პრესინგით გამოიჩინეს თავი, რამაც საბოლოოდ მათ პოზიციური უპირატესობა მოუტანა, შედეგად პირველი ტაიმის შუაში **ხუციშვილს** სამჯერ ჰქონდა კარგი მომენტი, თუმცა ორჯერ ააცილა სამიზნეს, ერთხელ კი **კვასხვაძემ** აულო. ტაიმის ბოლოს დინამოელთაგან ერთ-ერთ საუკეთესო **ოდიკაძეს** მართებდა გატანა, მაგრამ პირისპირ გასულმა მის შესახვედრად გამოსულ მეკარეს მოარტყა ბურთი. მოკლედ პირველი ტაიმი აშკარად "დინამოსი" იყო. რაც შეეხებათ ფეროელებსა და მათ გულშემატკივრებს, ისინი აშკარად მეორე ტაიმზე ფიქრობდნენ. თუმცა ფიქრი ფიქრადვე დარჩა. თავად განსაჯეთ: ნაცვლად იმისა, რომ გუნდი გააქტიურებულიყო და შეტევაში წასულიყო, გაუგებრად ფრთხილი ტაქტიკით გააგრძელა თამაში და სახეირო ვერაფერი შექმნა. მასპინძელი ფეხბურთელები შეტევის მიმართულებას დროზე ვერ ცვლიდნენ და ბურთსაც ძალზე ხშირად კარგავდნენ. ასევე დაბალი იყო მათი თამაშის ორგანიზაციის დონე, მოედანზე მყოფი ოთხი თავდამსხმელიდან, არც ერთს მომენტი არ ჰქონია. მათი შემხედვარე ტრიბუნაზე ხალხი ხუმრობის ხასიათზე დადგა, სტუმართმოყვარე თავდამსხმელები გვყავს და **ოვონოს** შეწუხებას ერიდებიანო. "დინამომ" კი აქტიურობა შეინარჩუნა და მალე შედეგსაც მიაღწია. ოდიკაძემ ერთი მოძრაობით გაუკეთა პასი ფლანგზე გასულ თანაგუნდელს, რომელმაც, თავის მხრივ, სწრაფი, გამჭოლი გადაწოდებით **ვანაძე** მოძებნა. გოლეადორმა კი მსწრაფლ დაარტყა მოჭრილად და, როგორც შემდეგ გამოჩნდა, საჩემპიონო გოლი გაიტანა.

სტუმრებმა ამის შემდეგაც სწორი ტაქტიკით გააგრძელეს თამაში და სივრცეების შეზღუდვით მასპინძლებს გასაქანი არ მისცეს. თავისიანების უნიათობით განერვიულებულმა მაყურებელმა კი გული იმით მოიოხა, რომ მოედანზე პლასტმასის ბოთლებისა და სხვადასხვა პატარა საგნის სროლა დაიწყო, რაც აქაურ გულშემატკივრებს ნამდვილად არ ეკადრებათ. თუმცა ობიექტურობის გრძნობას საბოლოოდ მაინც არ უღალატეს და მეცამეტედ გაჩემპიონებული დინამოელები ტაშით გააცილეს მოედნიდან.

### მატჩის შემდეგ

**დუშან უჰრინი (დინამო):** *"ძალიან მიხარია, რომ ორი ტურით ადრე მოვიპოვეთ ჩემპიონობა. თანაც ეს ზესტაფონში შევძელით. მთელი სერიოზულობით ვემზადებოდით ამ შეხვედრისთვის. აქაური გუნდი ჩვენში ერთ-ერთი საუკეთესოა და მისი დაარცხება, მერწმუნეთ, ნამდვილად ძნელია. მინდა ასევე ყველა ჩვენს გულშემატკივარს მივულოცო ეს წარმატება და მადლობა ვუთხრა თანადგომისათვის. თუმცა ჯერ სეზონი არ დამთავრებულა და მომდევნო თამაშებსაც მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ".*

**თემურ მახარაძე (ზესტაფონი):** *"მინდა, მივულოცო ჩემს კოლეგას ჩემპიონობა. რაც შეეხება ჩვენს თამაშს, იგი დღეს ნამდვილად არ წაგვივიდა. რვა ფეხბურთელს ჰქონდა გაფრთხილება, რის გამოც, ისინი შიშობდნენ თასის თამაში არ გამოეტოვებინათ. ამიტომ ავირჩიეთ ფრთხილი ტაქტიკა, რამაც შედეგი არ მოგვიტანა. რაც შეეხება ვიეირას, გაძევებით მან, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ყელი გამოგვჭრა, რადგან თასზე დაგვაკლდება. გპირდებით, თასზე სხვა თამაში და ბრძოლა იქნება".*

**მერაბ გრძელიძე**
ზესტაფონიდან

# ვინ რამდენს დარბის?

## რუსთაველებს ნაბიჯებს დაუთვლიან

**ოლიმპი-ბორჯომი**

**1:0**

**3.05. რუსთავი. ფოლადი**
**300 მაყურებელი**

1:0 მახვილაძე (66. პენ)

ოლიმპი: ლომაია - ორბელაძე, მახვილაძე, გაბედავა (77. სილაგაძე), რეხვიაშვილი (65. იმედაძე) - ჯოჯუა, მგელაძე, დევდარიანი (73. სებისკვერაძე)- კახელიშვილი, გეწაძე, ომელიანოვი

სათადარიგოები: შეყრილაძე, ხუბუა

ბორჯომი: სეფიაშვილი - კირთაძე, კაკუბავა, თედიაშვილი, გურული - გოგიჩაიშვილი, ქავთარაძე, გუგავა, ბოლქვაძე - ლომიძე (65. გოგოლაძე), ნასყიდაშვილი

სათადარიგოები: ხაჩიძე, ჩირიკაშვილი

არბიტრი: მ. ურუშაძე

**12.** გეწაძე ურტყამს კახელიშვილის კარგი გადაცემის მერე, მაგრამ სეფიაშვილი ადგილზე ხვდება ბურთს.

**25.** გეწაძე ახლა უკვე ასისტენტობას უწევს დევდარიანს, რომელმაც 7-8 მეტრიდან ააცილა კარს.

**63.** დევდარიანმა ვერ მიიღო კარგად ორბელაძის პასი და სახიფათო მომენტი გაფუჭდა.

**65.** დევდარიანმა იარა კარგად და კარგი პასიც გაუკეთა საჯარიმოში მყოფ ომელიანოვს. უკრაინელმა მცველთან ჭიდილში დარტყმა ვერ მოახერხა, მაგრამ ბორჯომელ მცველს ბურთი საჯარიმოდან გამოტანისას ხელზე მოხვდა და მსაჯმაც პენალტი დანიშნა.

**66.** 1:0 - მახვილაძემ თერთმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა.

**72.** საჯარიმოში შევარდნილმა ომელიანოვმა ორბელაძისგან კარგი პასი მიიღო, მაგრამ დარტყმა დააგვიანა და მომენტიც ქარს გაატანა.

**84.** კახელიშვილმა ორბელაძეს, მან კი მგელაძეს გაუგორა ბურთი დასარტყმელად, მაგრამ სეფიაშვილმა აქაც იყოჩაღა.

**85.** სამმა რუსთაველმა იმდენი "მოახერხა", ერთ ბორჯომელ მცველს ვერ გასცდა და კარში ვერ დაარტყა.

"ოლიმპის" ერთ-ერთ ხელმძღვანელს უთქვამს მატჩის შემდეგ, აპარატურა ვიყიდოთ, რომ დაითვალოს ჩვენი ფეხბურთელებიდან ვინ რამდენს დარბისო. უკმაყოფილო დარჩენილა რუსთაველთა თამაშით პატივცემული ადამიანი და ასეთი რამ აზრად ამიტომაც მოსვლია. უკმაყოფილების საბაბი კი ნამდვილად ჰქონდა. ძალიან ბევრი წუნი იყო მასპინძელთა თამაშში. პრობლემები ზოგადად ყველა კლუბს აწუხებს, მაგრამ ეს ხომ არაა გასამართლებელი საბუთი? ყველას სურს თავისი გუნდი უკეთ თამაშობდეს.

არაზუსტი პასები, შეტევის არასწორად გაგრძელება, დაგვიანებული დარტყმები - ყველაფერი ეს შაბათს ორივე გუნდის თამაშში შეინიშნებოდა, მაგრამ თუკი ბორჯომელებს მიმდინარე სეზონში გადასაწყვეტი არაფერი დარჩათ, "ოლიმპს" ჯერ კიდევ მოსაპოვებელი აქვს ევროტურნირის საგზური. რუსთაველები ერთი ქულით ჩამორჩებიან "ამერს" და მოვლენების მათთვის სასარგებლოდ განვითარების შემთხვევაში, ინტერტოტოზე თამაშის საშუალება მიეცემათ.

პირველ ტაიმში გამორჩეული არაფერი მომხდარა **გეწაძისა** და **დევდარიანის** დარტყმებს თუ არ ჩავთვლით. აი, მეორე ტაიმი შედარებით საინტერესო გამოდგა.

მასპინძლებმა ტაიმი აქტიურად დაიწყეს და ორ წუთში ორჯერ მოაწოდეს კუთხური. შეტევები ამის შემდეგაც გაგრძელდა, თუმცა ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო სათანადოდ ვერ სრულდებოდა. პენალტიც, რომელმაც წააგებინა სტუმრებს, მათი "დამსახურება" უფროა. **ომელიანოვმა** კი იბრძოლა იმ მომენტში საჯარიმოში, მაგრამ თერთმეტრიანი ბორჯომელ მცველთა შეუთანხმებელ მოქმედებას მოჰყვა - საჯარიმოდან გამოტანისას ბურთი ჯერ ერთ ბორჯომელს მოხვდა თავში, მერე კი მეორეს - ხელზე.

მატჩის მიწურულს რუსთაველებს ერთიც უნდა გაეტანათ, მაგრამ **იმედაძემ**, ომელიანოვმა და **კახელიშვილმა** ერთი მცველის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს - იმედაძემ ომელიანოვს გაუკეთა გადაცემა, მან კახელიშვილს გააგრძელებინა შეტევა, მაგრამ სანამ ამ უკანასკნელმა ბურთი დასარტყმელად მარჯვენიდან მარცხენაზე გადმოიტანა, მცველმა დაუფარა.

**პაატა თოთაძე**
რუსთავი-თბილისი



# პრინციპი და მოტივაცია

**ვიტ ჯორჯია-ამერი**

**0:1**

3.05. მცხეთა. არმაზი
500 მაყურებელი

0:1 ტატანაშვილი (90. პენალტით)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, მელქაძე, ბეჭვაია (65. კლიმიაშვილი) - სახოკია (56. ლიპარტია), ლუჭაშვილი (75. ბერიაშვილი)

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, ყველაშვილი, მაისაშვილი, კვალინიძე*

ამერი: ნადირაშვილი - კაკაშვილი (90, მესხი), დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე - დოლიძე (65. ა. ალავიძე), დობროვოლსკი, დიდავა, შალამბერიძე - რ. გოცირიძე (69. ტატანაშვილი), დავითაშვილი

*სათადარიგოები: ქვაჩახია, ჩიმაკაძე, სილაგავა, გვაძაბია*

გაფრთხილება: ლიპარტია (66), დობროვოლსკი (75), რაზმაძე (84), დავითნიძე (87)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**6** ნთ. ლუჭაშვილი შეუჩერებლად ურტყამდა - ბურთი მიზანს ოდნავ ასცდა.

**7.** რამდენიმეწამიან ინტერვალში ლომაიას ორი ერთიმეორეზე უკეთესი მომენტი შეექმნა, მაგრამ სტუმართა მეკარეს ვერ აჯობა.

**19.** მელქაძის საჯარიმოს ლომაია ვერ მინვდა, თორემ გოლი გარდაუვალი იყო.

**22** დავითაშვილის ჩინებული პასის მერე შალამბერიძემ ყველაფერი იდეალურად შეასრულა, მაგრამ ბურთი მასპინძელთა კარის ხარიხას მოხვდა.

**37.** დოლიძემ კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

**45.** დიდავა შეუჩერებლად ურტყამს - ბედიაშვილი ადგილზეა.

**47.** პავლე დათუნაიშვილის შორეულ პასს გიორგი დათუნაიშვილმა ვერ მიუსწრო - მომენტი ერთობ სახიფათოდ ჩანდა.

**58.** ჯაფარიძის ჩინებული სოლო-რეიდი ძლიერი დარტყმით დასრულდა - ბურთი სტუმართა კარს მცირე მანძილით ასცდა.

**84.** ლიპარტიას აქტიურობას "ამერის" საჯარიმოში არეულობა მოჰყვა და საბოლოოდ ყველაფერი კაკაშვილის თავგანწირულმა თამაშმა განმუხტა.

**88.** მელქაძის საჯარიმო დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

**90+3.** 0:1. მასპინძელთა კარში დანიშნული პენალტი დიმიტრი ტატანაშვილმა ზუსტად გამოიყენა.



დიმიტრი ტატანაშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

...ძალიან ძნელია პრინციპულ და საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგესთან სასურველ შედეგზე იფიქრო, როდესაც... სხვა გუნდზე ხარ დამოკიდებული. აი, როგორც "ვიტ ჯორჯია" იყო შაბათს მცხეთაში: **რამაზ მუმლაძის** გუნდმა, თითქოსდა, ყველაფერი გააკეთა საჩემპიონო რბოლას რომ არ ჩამოშორებულიყო, მაგრამ ამ დროისთვის "დინამო" ზესტაფონში უკვე იგებდა...

მთავარი ინტრიგა მორჩა - ჩემპიონი გარკვეულია და "დინამოს" უნდა მივულოცოთ კიდეც; მაგრამ "ვეტერინარებისთვის" დარჩენილ ორ ტურს უდიდესი მნიშვნელობა აქვს - მეორე ადგილს (შესაბამისად - უეფას თასის საგზურს) ხომ შენარჩუნება უნდა. თუმცა პროგნოზებსა და ვარაუდებზე ხვალ ვისაუბროთ და ისევ პრინციპულ მეტოქეთა დაპირისპირებას დავუბრუნდეთ. თავიდანვე ვიტყვით, რომ არ გამართლდა ბევრის მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს "ამერი" განმეორებითი სათასო ნახევარფინალის წინ მასპინძლებს "თავს არ შეაკლავდა". პირველი წუთებიდან მოედანზე უშელავათო ბრძოლა გაჩაღდა და ასე გაგრძელდა მთელი მატჩი. ყველაზე თვალშისაცემი მაინც ტემპი იყო - ორივე გუნდი მაქსიმალურად ნაკლებ დროს ანდომებდა მოედნის ცენტრის გადალახვას და სისწრაფის ხარჯზე ცდილობდა ხიფათის შექმნას. პირველი ტაიმი, უდავოდ, მასპინძლების იყო: ძმები **დათუნაიშვილები, გიგა ბეჭვაია** და **ვასილ ლუჭაშვილი** ბევრს აქტიურობდნენ, მაგრამ "ამერის" მეკარე **ლადო ნადირაშვილი,** წინა მატჩების მსგავსად, ახლაც უშეცდომოდ თამაშობდა. ყველაზე რეალური მომენტი კი **დავით ლომაიას** (ამ შეხვედრის ერთ-ერთ გამორჩეულ მოთამაშეს) ჰქონდა: მორიგი კუთხურის მერე მასპინძელთა ცენტრალური მცველი თავით ცდილობდა ბურთის კარში გაგზავნას, მაგრამ ნადირაშვილმა ჩინებული რეაქცია გამოამჟღავნა; დამატებაზე პირველი ისევ ლომაია იყო და ახლა უკვე ფეხით ურტყამდა, მაგრამ მის წინააღმდეგ კვლავაც ნადირაშვილი და მეტოქის კარის ძელი აღიმართა...

ისე, ცოტა არ იყოს, მოულოდნელზე მეტი იყო "ამერის" დაცვის ხაზის ხშირი შეცდომები და ერთადერთი, ალბათ, **ლადო კაკაშვილი** გახლდათ, **გიორგი ჩიხრაძეს** პრეტენზია რომ არ ექნებოდა. კაკაშვილმა მეორე ტაიმშიც ჩინებულად ითამაშა, ერთ-ორ ეპიზოდში "ამერი" სულაც მისმა თავგანწირულმა თამაშმა გადაარჩინა. მაგრამ მანამდე იყო სტუმრების პირველი და, ფაქტობრივად, ერთადერთი სახიფათო მომენტი: **სულიკო დავითაშვილმა,** მართლაც, მოხდენილი პასით **კობა შალამბერიძე** გარღვევაზე გაიყვანა; სტუმართა ტანმორჩილმა ნახევარმცველმაც ყველაფერი ეფექტურად გააკეთა - მცველსაც გასცდა და მეკარესაც, მაგრამ მეტად მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი ხარიხას გაარტყა! აქვე, ბარემ ისიც ვთქვათ, თუ რამხელა დანაკლისი ჰქონდათ სტუმრებს **გიორგი დეკანოსიძის** სახით და გამთამაშებლის არყოფნაში დავითაშვილს ხშირად უხდებოდა მოედნის სიღრმეში ჩამოსვლა და ეს არცთუ ურიგოდ გამოსდიოდა.

მეორე ტაიმის დასაწყისიც მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და ორი სახიფათო მომენტიც შექმნეს "ამერის" კართან: ჯერ იყო და გიორგი დათუნაიშვილი ვერ მიწვდა თავისი ძმის ფლანგურ გადაცემას, თორემ გოლი გარდაუვალი იყო; მერე კი **ლაშა ჯაფარიძის** ეფექტური სოლო-რეიდი ვიხილეთ, ერთობ ძლიერი დარტყმითაც რომ დასრულდა - ბურთმა ახლო მანძილზე ჩაუქროლა სტუმართა კარს. თუმცა ამის მერე სტუმრებმა თამაში გაათანაბრეს და, ეს, უპირველესად, **გივი დიდავასა** და **დენის დობროვოლსკის** დამსახურება იყო: "ამერის" ცენტრალურმა ნახევარმცველებმა თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოიგეს. საყაიმო ანგარიში არც რამაზ მუმლაძეს აწყობდა, არც - გიორგი ჩიხრაძეს და ორივე მწვრთნელმა თამაშში კორექტივების შეტანა ცვლილებებით სცადეს. როგორც ყოველთვის, კვლავაც აქტიურად ჩაერთვნენ თამაშში **ჯაბა ლიპარტია** და **ირაკლი კლიმიაშვილი;** აღარაფერს ვამბობთ **დიმიტრი ტატანაშვილზე** - უკვე მერამდენე მატჩია მოედანს უგოლოდ რომ არ ტოვებს. ასე მოხდა ახლაც, როცა მსაჯისგან დამატებულ მესამე წუთზე პენალტი ზუსტად შეასრულა. მთავარი მაინც ის იყო, თუ რა უძლოდა ამ თერთმეტმეტრიანს: მასპინძლები ბოლო შტურმზე აპირებდნენ გადასვლას და ამის გაკეთება მათმა კაპიტანმა **ლექსო კვახაძემ** საკუთარ საჯარიმოში, რატომღაც "დრიბლინგის" მეშვეობით მოინდომა. ასეთი რამ ცენტრალური მცველისთვის ყველგან და ყოველთვის მიუღებელია და ეს გამოეპარებოდა გამოცდილ დავითაშვილს? "აბრეზამ" იმდენი მოახერხა, რომ მასპინძელთა მცველს ბურთი წაართვა და საჯარიმოში შესულმა რბილი გადაცემა გაუკეთა გივი დიდავას; ეს უკანასკნელი კართან მარტო იყო დარჩენილი, მაგრამ **გრიგოლ ბედიაშვილმა** თავგანწირვით ითამაშა და შესძლო ბურთის მოგერიება. დამატებაზე კი კობა შალამბერიძე მთელი სისწრაფით მოჰქროდა და სწორედ მის და ბედიაშვილის შეჯახებას მოჰყვა კიდეც პენალტი...

**გია ტუხაშვილი**
მცხეთა-თბილისი

*P.S. იმედია, "ვიტ-ჯორჯიას" მწვრთნელი თუ კლუბის ხელმძღვანელები არ გვიწყენენ, თუ ჩვენ სუბიექტურ აზრს დავაფიქსირებთ. მეორე წრეში გუნდს აშკარად აკლდა მეტოქის კარზე "დაგეშილი", გოლების გამტანი ფორვარდი. აი, პირველ წრეში ნიკა გელაშვილი რომ იყო...*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 24 | 21 | 1 | 2 | 59-13 | 64 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 24 | 18 | 3 | 3 | 43-11 | 57 |
| 3. ზესტაფონი | 24 | 17 | 4 | 3 | 53-15 | 55 |
| 4. ამერი | 24 | 15 | 2 | 7 | 47-24 | 47 |
| 5. ოლიმპი | 24 | 14 | 4 | 6 | 24-16 | 46 |
| 6. მესხეთი | 24 | 10 | 5 | 9 | 27-30 | 35 |
| 7. ბორჯომი | 24 | 9 | 4 | 11 | 28-30 | 31 |
| 8. მგლები | 24 | 9 | 3 | 12 | 22-29 | 30 |
| 9. სიონი | 24 | 7 | 5 | 12 | 24-33 | 26 |
| 10. ლოკომოტ. | 24 | 6 | 6 | 12 | 18-28 | 24 |
| 11. სპარტაკი | 24 | 4 | 8 | 12 | 12-27 | 20 |
| 12. მერანი | 24 | 6 | 1 | 17 | 15-48 | 19 |
| 13. ბათუმი | 24 | 4 | 3 | 17 | 15-47 | 15 |
| 14. დილა | 24 | 1 | 5 | 18 | 12-48 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 14 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 13 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| ვიეირა (ზესტაფონი) | 11 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 9 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 9 |
| აკირემი (დინამო) | 9 |
| რ. გოცირიძე (ამერი) | 9 |
| გელაშვილი (ვიტ./ზესტაფონი) | 9 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტ./ბათუმი) | 8 |
| ინასარიძე (მესხეთი) | 8 |

**დარჩენილი ტურები**

**XXVI ტური**

**11 მაისი, კვირა**

| | |
|---|---|
| 17:00 | ბორჯომი-სიონი |
| 17:00 | ვიტ ჯორჯია-მგლები |
| 17:00 | სპარტაკი-დილა |
| 17:00 | დინამო-ლოკომოტივი |
| 17:00 | მერანი-ოლიმპი |
| 17:00 | ბათუმი-ზესტაფონი |
| 17:00 | ამერი-მესხეთი |

**XXVI ტური**

**20 მაისი**

| | |
|---|---|
| 17:00 | ზესტაფონი-ამერი |
| 17:00 | დილა-დინამო |
| 17:00 | მესხეთი-ვიტ ჯორჯია |
| 17:00 | ლოკომოტივი-ბათუმი |
| 17:00 | სიონი-მერანი |
| 17:00 | ოლიმპი-სპარტაკი |
| 17:00 | მგლები-ბორჯომი |

## საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა**

| | |
|---|---|
| დინამო 2-გაგრა | 0:1 |
| ჩიხურა-მეშაქრე | 1:1 |
| ოლიმპი 2-წ. დინ./მერ. 2 | 1:2 |
| კახეთი-ვიტ ჯორჯია 2 | 2:1 |
| ოლიმპიკი-ამერი 2 | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 25 | 14 | 6 | 5 | 52-36 | 48 |
| მეშაქრე | 25 | 12 | 9 | 4 | 33-20 | 45 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 25 | 13 | 5 | 7 | 38-20 | 44 |
| დინამო 2 | 25 | 12 | 7 | 6 | 33-20 | 43 |
| ჩიხურა | 25 | 11 | 7 | 7 | 38-33 | 40 |
| კახეთი | 25 | 10 | 4 | 11 | 38-37 | 34 |
| ოლიმპი 2 | 25 | 8 | 8 | 9 | 31-35 | 32 |
| ამერი 2 | 25 | 9 | 2 | 14 | 40-39 | 29 |
| ოლიმპიკი | 25 | 6 | 4 | 15 | 34-50 | 22 |
| წ. დინ/მერ.2 | 25 | 1 | 6 | 18 | 19-66 | 9 |

**დასავლეთი ზონა**

| | |
|---|---|
| მერანი მარტვ.-კოლხეთი ხ. | 0:2 |
| კოლხეთი ფ.-ტორპედო | 1:0 |
| უნივერსიტეტი ქ.-მეშახტე | 2:1 |
| ზესტაფონი 2-მაღაროელი | 0:0 |
| სამტრედია-ფაზ/რაჭა | 3:0 (ტექ.) |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაღაროელი | 25 | 19 | 4 | 2 | 49-17 | 61 |
| 2. მეშახტე | 25 | 13 | 2 | 10 | 38-36 | 41 |
| 3. მერანი მ. | 25 | 12 | 5 | 8 | 32-22 | 41 |
| 4. ზესტაფონი 2 | 25 | 12 | 4 | 9 | 39-24 | 40 |
| 5. კოლხეთი ხ. | 25 | 9 | 7 | 8 | 35-25 | 37 |
| 6. კოლხეთი ფ. | 25 | 9 | 7 | 9 | 30-33 | 34 |
| 7. ტორპედო | 25 | 9 | 6 | 10 | 34-31 | 33 |
| 8. სამტრედია | 25 | 9 | 4 | 12 | 35-47 | 31 |
| 9. უნივერს. | 25 | 8 | 3 | 14 | 21-28 | 27 |
| 10. ფაზისი* | 25 | 2 | 2 | 21 | 17-67 | 8 |

*ფაზისი მოხსნილია გათამაშებიდან

ლეგიონერები

## მალხაზ ასათიანი:
# ლუჩი წელში უნდა გაგვეტეხა




**ტრავმის გამო 26 წლის მალხაზ ასათიანისთვის ახალი საფეხბურთო სეზონი რუსეთში მოგვიანებით, მერვე ტურის მატჩში დაიწყო. „ლოკომოტივმა" ვერ შეძლო ვლადივოსტოკის „ლუჩის" დამარცხება, არადა მე-80 წუთამდე ორბურთიანი სხვაობით იგებდა. მალხაზ ასათიანი მხოლოდ ყვითელი ბარათით გამოირჩა, არადა გოლის გატანაც შეეძლო. მატჩის შემდეგ რუსული მედიის ყურადღების ცენტრში ქართველი მცველი მოექცა.**

- ტაიმნახევარზე მეტი „ლუჩზე" უკეთ ვთამაშობდით, მაგრამ ბოლოსკენ, რატომღაც, მოვეშვით. არადა 2:0-ზე საგოლე მომენტები კიდევ გვქონდა, უნდა გაგვეტანა და მეტოქე წელში გაგვეტეხა. შეხვედრის ბოლოს კარის მშრალად შენახვაზე ვთამაშობდით, ვინერვიულეთ, ვიჩქარეთ და დავისაჯეთ კიდეც.

**- პირველი გაშვებული გოლისას თქვენ გვერდით მსაჯთან თამაშგარის გამო აპელირებდით..**

- დიახ, პირველი გოლი ოფსაიდიდან გავუშვით, მაგრამ ახლა ამას უკვე აღარ აქვს არსებითი მნიშვნელობა. ნებისმიერი შინ დასრულებული ფრე ორი ქულის დაკარგვაა. უნდა შევეცადოთ, რომ საკუთარ კედლებში ქულათა მაქსიმუმი მოვიპოვოთ.

**- საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებთ?**

- არ ვარ კმაყოფილი, ჩვენ ხომ ორი გოლი გავუშვით. ძალიან დასანანია, რომ ისეთ გუნდთან დავკარგეთ ქულები, რომელიც ჩვენზე დაბლაა სატურნირო ცხრილში.

**- რას მივაწეროთ, რომ „ლოკომოტივს" დაცვაში პრობლემები აქვს?**

- ვერ გეტყვით, სად უფრო მეტი გვაქვს გამოსასწორებელი, დაცვაში, თუ შეტევაში. ჩემი აზრით, ჩვენ გუნდური თამაშის პრობლემა გვაქვს. ხან გოლები ვერ გაგვაქვს, ხან კი უაზროდ ვუშვებთ.

**- რა გითხრათ მატჩის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა?**

- რაშიდ რახიმოვი თამაშის შემდეგ ძალიან გაბრაზებული იყო, ისევე როგორც ნალჩიკის „სპარტაკთან" მატჩის შემდეგ. რახიმოვი აბსოლუტურად მართალია – ასეთ მატჩებში სამი ქულა უნდა აილო.

**- „ზენიტთან" მატჩი გადაიტანეს, როგორ იმოქმედებს ეს „ლოკომოტივის" მზადებაზე?**

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. მატჩის გადატანის შესახებაც თქვენგან შევიტყვე.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

# დავით თარგამაძე ამჯერადაც ძირითადშია

გერმანიის ჭაბუკთა ბუნდესლიგაში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. "შალკეს" 19-წლამდელთა გუნდს მორიგი ოფიციალური მატჩი მხოლოდ 18 მაისს უწევს, სამაგიეროდ, ითამაშა "ფრაიბურგმა", რომელმაც "მიუნხენ 1860"-ს უმასპინძლა და 2:1 გაიმარჯვა.

**დავით თარგამაძე** ამჯერადაც მოხვდა "ფრაიბურგის" ძირითად შემადგენლობაში. იგი თავდასხმაში გაამწესეს, მაგრამ მოედანზე ყოფნა ერთი ტაიმიც არ დასცალდა. ქართველი შემტევი შეხვედრის 36-ე წუთზე შეცვალეს. საბედნიეროდ, ეს ტრავმის გამო არ მომხდარა. საქმე ისაა, რომ მანამდე მასპინძლებს მცველი გაუძევეს და ახალი უკანახაზელი მწვრთნელმა სწორედ თავდამსხმელის მაგივრად შეიყვანა. სხვათა შორის, ამ დროისთვის მიუნხენელები იყვნენ წინ, "ფრაიბურგმა" ორივე გოლი რიცხობრივ უმცირესობაში ყოფნისას გაიტანა.

19-წლამდელთა ბუნდესლიგის სამხრეთ ზონაში "ფრაიბურგი" კვლავ მეორე ადგილზეა 50 ქულით და ლიდერ "შტუტგარტს" სამი ქულით ჩამორჩება. სხვათა შორის, თარგამაძე და მისი თანაგუნდელები ბაიერნელ თანატოლებს ორი ქულით უსწრებენ. ტურნირის დასრულებამდე სამი ტურია დარჩენილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონის უქმეები

# ქართველებმა აიშვეს... სომხეთსა და აზერბაიჯანში



გოლით გამოიჩინა თავი „ზარიას" ნახევარმცველმა გიორგი ციმაკურიძემ, ალექსანდრე იაშვილმა და ლევან გვაზავამ საგოლე პასები მიითვალეს. უფრო სუსტ ლიგებში დუბლით გაგვახარა „დაჩიას" ფორვარდმა ჯაბა დვალმა, სომხეთში გოლები გაიტანეს გაგა თბილაშვილმა და დავით ხუციშვილმა. აზერბაიჯანში კი - თორნიკე აფციაურმა და გიორგი ადამიამ.

კალაძემ მორიგი „მადონინა" მოიგო, სანდრო იაშვილი კი ოფიციალურად დაემშვიდობა შვეიცარიულ სუპერლიგას.

## იაშვილის მეშვიდე პასი

"ჰანოვერთან" ფრის თამაშით **ლევან კობიაშვილის** "შალკე" ოფიციალურად დაემშვიდობა ბუნდესლიგის ტიტულისთვის ბრძოლას. ეს ადრე თუ გვიან, მოსალოდენლი იყო, შინ ორი ქულის დაკარგვით კი "ხუმარებმა" მეორე ადგილი "ვერდერს" დაუბრუნეს და თუ ასე გააგრძელეს, შეიძლება, ჩემპიონთა ლიგის საგზურიც კი ვერ მოიპოვონ. ლევან კობიაშვილს "ჰანოვერთან" არ უთამაშია, ის მზად იყო საბრძოლველად, მაგრამ ქართველი სათადარიგოთა სკამზე დატოვეს. საერთოდაც, 29 წლის კობიაშვილს ვერ გამოუვიდა კარგი სეზონი, ნაწილობრივ ტრავმების გამო "კობიმ" 11 მატჩში ითამაშა (შეუცვლელად მხოლოდ 4 მატჩი) და თითო გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

**ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუე" ბერლინში "ჰერტასთან" 1:3 დამარცხდა. გუნდი 42 ქულით მეათე ადგილზეა და ნაკლებადსავარაუდოა, ეს ადგილი სეზონის ბოლომდე დაკარგოს. შესანიშნავ სტარტს ქართველი ფორვარდის გუნდმა შესაბამისი გაგრძელება ვერ მოუძებნა და ცხრილის შუაში გაიჩხირა. თავად ჩვენებურს რაც შეეხება, "ჰერტასთან" მატჩში მან სეზონში მეშვიდე საგოლე გადაცემა გააკეთა - 53-ე წუთზე ალბანელ **ედმონდ კაპლანის** გაატანინა. იაშვილმა ჯერ კიდევ მე-11 წუთზე გაიყვანა **ტამაშ ჰაინალი** დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ უნგრელმა ლამის ცარიელ კარს ააცილა, ოთხ წუთში თავად იაშვილმა ვერ დაარტყა ზუსტად კარში. მეორე ტაიმში იაშვილმა კიდევ ერთხელ გაისროლა, ბურთი ოდნავ აცდა "ჰერტას" კარს.

თუ როგორ ითამაშეს (ან ვერ ითამაშეს) ქართველებმა მეორე ბუნდესლიგაში შაბათს გიამბეთ. "ოსნაბრიუკთან" 1:1 დასრულებულ მატჩში "შპორტალმა" მთელი "კარლ ცაისიდან" მხოლოდ **ილია კანდელაკს** დაუწერა ხუთიანი, **გიორგი ონიანი** კი შეუფასებელი დატოვა. გასაკვირიც არაფერია, ილია მისთვის შეუფერებელ და უცხო, გამთამაშებლის პოზიციაზე ათამაშეს. "კარლ ცაისი" 27 ქულით ბოლოსწინაა და ლიგაში დარჩენის თეორიულ შანსს ინარჩუნებს.




## მოგებული მადონინა

**კახა კალაძემ** და „მილანმა" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს მილანურ დერბიში – 2:1. „მილანის" ბედად, ერთდროულად წააგეს „ფიორენტინამ" და „სამპდორიამ". კალაძემ შეუცვლელად ითამაშა და „გოლისგან" 6,5 ბალი დაიმსახურა: *„ქართველს პირველი საათი საქმე საერთოდ არ ჰქონდა, შემდეგ კი „ინტერმა" მასაც გვარიანად შეუტია".*

## ზურას ფანებმაც უგანეს

**ზურაბ ხიზანიშვილი** კვლავ ვერ მოხვდა საპრემიერლიგო განაცხადში, „ბლექბერნი" უქართველოდ მოერია მაჩანჩალა „დერბის". საიტ „ვაიტალ ფუტბოლის" მომხმარებლებმა, რომელთაც მარტის თვის „ბლექბერნის" საუკეთესო მცველად ზურა აღიარეს, ამჯერად მას ხმები საერთოდ აღარ მისცეს. აპრილის თვის გამოკითხვაში ხიზანიშვილმა ხმების 1 პროცენტიც ვერ მიიღო. „ბლექბერნი" 58 ქულით მეშვიდე ადგილზეა.

**შოთა არველაძეს** არ უთამაშია „ესპანიოლთან" მატჩში, რომელშიც უკვე გავარდნილმა „ლევანტემ" ორი ქულა აართვა მეტოქეს მიუხედავად იმისა, რომ მატჩი 9 კაცით ჩაამთავრა – 1:1.

## სანდრო სუპერი აღარაა

საკმაო ხნის შესვენების შემდეგ თამაში მოუწია „თუნის" ფორვარდ **სანდრო იაშვილს**. „ლუცერნთან" გასვლით მატჩში „თუნი" 0:4 შერცხვა. სანდრომ მთელი მეორე ტაიმი ითამაშა **ალეხანდრო გავატორტას** ნაცვლად, თუმცა სწორედ მეორე ტაიმში „თუნმა" 0:3 დათმო. 34 ტურიდან 26 ქულით „თუნი" ბოლოა ათგუნდიან ჩემპიონატში. ამ ტურში სანდრო იაშვილის გუნდი ოფიციალურად დაემშვიდობა შვეიცარიულ სუპერლიგას. სანდრო იაშვილს ჩემპიონატში მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი.

წუხელ **გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგი" „ოლბორგთან" 0:1 დამარცხდა, ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა.

## ასათიანის უიღბლო დაბრუნება

ნალჩიკის „სპარტაკისა" და ყაზანის „რუბინის" მოულოდნელი მარცხის შესახებ შაბათს გიამბეთ, ამ წაგებებით **დავით კვირკველიას, ლაშა სალუქვაძისა** და **ნუკრი რევიშვილის** გუნდმა ზედიზედ მოგებათა სერია მერვე მატჩზე შეწყვიტა, ხოლო **გოგიტა გოგუას, ალექსანდრე ამისულაშვილისა** და **დავით სირაძის** „სპარტაკი" ცხრილის ქვედა ნახევარში ალმოჩნდა. შაბათს წლევანდელ ჩემპიონატში დებიუტი ჰქონდა **მალხაზ ასათიანს**, რომელიც „ლოკომოტივის" სასტარტო შემადგენლობაში მოხვდა „ლუჩთან" საშინაო მატჩში. მალხაზმა 90 წუთი ითამაშა. მეორე ტაიმში ქართველმა მცველმა **იგორ შევჩენკოსთან** უხეშობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო. 66-ე წუთზე მალხაზს გოლის გატანის შანსი გაუჩნდა, მაგრამ **დმიტრი ტორბინსკის** ჩაწოდებულს ფეხი დაუხვედრა და ააცილა. მიმომხილველთა უმეტესობა ამტკიცებს, რომ სჯობდა, ასათიანს თავით დაერტყა. **დავით მუჯირს** საერთოდ არ უთამაშია მასპინძელთა შემადგენლობაში, ხოლო სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ლევან გვაზავამ**. მე-80 წუთამდე მასპინძლებისთვის ყველაფერი კარგად მიდიოდა, „ლოკომოტივი" 2:0-ს იგებდა. მე-80 წუთზე კი ლევანმა საგოლე პასი **გიორგი ბაზაევს** მიაწოდა, ზუსტად ორ წუთში სტუმრებმა პენალტით საერთოდ ქულის გადარჩენა შეძლეს – 2:2. რუსული პროფლიგის ოფიციალურმა ვებგვერდმა მალხაზ ასათიანის თამაში 5,5 ბალით, ხოლო ლევან გვაზავას გარჯა – 6 ბალით შეაფასა. „რუბინი" 21 ქულით კვლავ პირველია, „ლოკომოტივი" 15 ქულით მეორე ადგილზეა, ნალჩიკის „სპარტაკი" მე-12 ადგილზეა შვიდი ქულით, „ლუჩი" კი 6 ქულით ბოლოსწინაა.

## ციმაკურიძემ დატოვა

ლუგანსკში დაბრუნებულმა **გიორგი ციმაკურიძემ** ლამის პერსონალურად დატოვა „ზარია" უმაღლეს ლიგაში. ლუგანსკელებმა 1:0 დაამარცხეს უშუალო კონკურენტი „ნაფტოვიკი". 36-ე წუთზე ქართველი ნახევარმცველი სტუმართა საჯარიმოში წააქციეს, პენალტი თავად დაზარალებულმა დაარტყა, მან გოლკიპერი სხვა კუთხეში გადაახტუნა, თავად კი სხვაში დაარტყა – 1:0. 86-ე წუთზე გიორგი დაშავდა და ის საკაცით გაიყვანეს მოედნიდან. **ლადო ბურდული** „ზარიას" განაცხადში არ ყოფილა.

წინა დღით დუბლების მატჩში გოლით გამოიჩინა თავი **სანდრო კობახიძემ**, თუმცა „ტავრიას" და „დნიპროს" მთავარი გუნდების შეხვედრაში ის აღარ გამოჩენილა. არც **ჯაბა კანკავას** უთამაშია, თუმცა ამ შემთხვევაში მიზეზი დისკვალიფიკაციაა. საოცარია, მაგრამ ფაქტია – გუნდში დეკემბერში გადასულ **ლაშა ჯაკობიას** ჯერ არ უთამაშია „ვორსკლას" მაისურით, არადა უკვე კარგა ხანია ჯანმრთელადაა.

## პრიზი ჩაიბარეს

კვიპროსში „ანორთოსისი" მატჩის წინ დააჯილდოეს ჩემპიონის თასით, შეხვედრა კი არაფერს წყვეტდა, **თემურ ქეცბაიას** გუნდი აეკ-ს 3:3 დაუზავდა. **კობა წიტაიშვილს** ამ მატჩში არ უთამაშია. **ლევან მაღრაძის** გუნდი „აპოლონი" შინ 0: 2 დამარცხდა **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსთან". არც ამ შეხვედრაში უთამაშიათ ქართველებს. ჩემპიონატის დასრულებამდე ტურილა დარჩა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XXXI ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-ჰანოვერი | 1:1 | სათადარიგო | 11 თ. 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | ჰერტა-კარლსრუე | 3:1 | 90 წუთი, საგოლე პასი | 25 თ. 0 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XXXI ტური | | | | |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი-ოსნაბრიუკი | 1:1 | 90 წუთი | 17 თ.0 გ. |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი-ოსნაბრიუკი | 1:1 | 19 წთ. (შეცვლაზე) | 12 თ. 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი-ოსნაბრიუკი | 1:1 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | მიუნხენი-ფრაიბურგი | 0:3 | არ უთამაშია | 2 თ. 0 გ. |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-ფრაიბურგი | 0:3 | ტრავმა | 13 თ. 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა. XXXVII ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-დერბი | 3:1 | არ უთამაშია | 12 თ. 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა დივიზიონი. XXXV ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე-ესპანიოლი | 1:1 | არ უთამაშია | 3 თ. 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A. XXXVI ტური | | | | |
| კახა კალაძე | მილანი-ინტერი | 2:1 | 90 წუთი | 25 თ. 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა. XXXIV ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | ლუცერნი-თუნი | 4:0 | 45 წთ. (შეცვლაზე) | 23 თ. 1 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა. XXVI ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი-ოლბორგი | 0:1 | 90 წუთი | 8 თ. 0 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ერსტე ლიგა. XXXVI ტური | | | | |
| მირზა ბუალავა | ავსტრია ლ.-ავსტრია (მ) | 1:2 | 90 წუთი | 10 თ. 0 გ |
| **ჩეხეთი** | | | | |
| გამბრინუს ლიგა. XXVIII ტური | | | | |
| გიორგი განუგრავა | ტეპლიცე-მლადა | 1:2 | არ უთამაშია | 2 თ. 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერ ლიგა. VIII ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სპარტაკი ნ.-მოსკვა | 0:3 | არ უთამაშია | 7 თ. 0 გ. |
| დავით სირაძე | სპარტაკი ნ.-მოსკვა | 0:3 | 63 წთ. (შეცვლაზე) | 8 თ. 0 გ. |
| ალ. ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-მოსკვა | 0:3 | 90 წუთი | 8 თ. 0 გ. |
| ლევან გვაზავა | ლოკომოტივი-ლუჩი | 2:2 | 90 წუთი | 8 თ. 1 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი-ლუჩი | 2:2 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 1 თ. 0 გ. |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი-ლუჩი | 2:2 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი-სპარტაკი | 0:3 | არ უთამაშია | 4 თ. 0 გ. |
| დავით კვირკველია | რუბინი-სპარტაკი | 0:3 | 90 წუთი | 8 თ. 2 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი-სპარტაკი | 0:3 | ტრავმა | 0 თ. 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა. XXVIII ტური | | | | |
| ჯაბა კანკავა | ტავრია-დნიპრო | 0:1 | არ უთამაშია | 19 თ. 3 გ. |
| ალექსანდრ კობახიძე | ტავრია-დნიპრო | 0:1 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი-კარპატი | 2:0 | არ უთამაშია | 18 თ. 3 გ. |
| ლადო ბურდული | ზარია-ნაფტოვიკი | 1:0 | არ უთამაშია | 17 თ. 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია-ნაფტოვიკი | 1:0 | 86 წთ. (შეცვალ.), 1 გოლი | 4 თ. 1 გ. |
| კახა ალადაშვილი | მეტალისტი-ხარკივი | 2:0 | სათადარიგო | 16 თ. 0 გ. |
| ლაშა ჯაკობია | ვორსკლა-მეტალურგი დ. | 2:0 | არ უთამაშია | 3 თ. 0 გ. |
| **კვიპროსი** | | | | |
| A დივიზიონი. VI რაუნდი | | | | |
| ლევან ქებაძე | აპოლონი-ეთნიკოსი | 0:2 | არ უთამაშია | 10 გ. |
| ლევან მაღრაძე | აპოლონი-ეთნიკოსი | 0:2 | არ უთამაშია | 0 გ. |
| კობა წიტაიშვილი | ანორთოსისი-აეკ | 3:3 | არ უთამაშია | 2 გ. |

# უცხოური ფეხბურთი

## მანჩესტერ იუნ.-ვესტ ჰემი 4:1

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, რიო ფერდინანდი, ბრაუნი, ევრა, ქერიკი, სქოულზი (72. ოში), ჰარგრივსი, კრისტიანო რონალდო (64. ფლეტჩერი), ნანი, პარკი (61. გიგზი), ტევესი.

**ვესტ ჰემი:** გრინი, ნილი, მაკარტნი, პანტსილი, ტომკინსი, მულინსი (75. სიერსი), პარკერი, ნობლი, ეშტონი (56. კარლტონ კოული), ზამორა, ბოა მორტე (52. სოლანო).

**გოლები:** 1:0 რონალდო (3), 2:0 რონალდო (24), 3:0 ტევესი (26), 3:1 ეშტონი (28), 4:1 ქერიკი (59).

**გაძევება:** ნანი (37. მანჩესტერ იუნაიტედი)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 8(4)-9(5); **ჯარიმა:** 15-16; **კუთხური:** 4-2; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 76 013

## მიდლსბრო-პორტსმუთი 2:0

**მიდლსბრო:** შვარცერი, იანგი, რიგოტი, ვიტერი, არკა, ჯორჯ ბოატენგი (88. კატერმოული), როშემბაკი, დაუნინგი, აფონსო ალვეში (61. ალიადიერი), თუნჯაი.

**პორტსმუთი:** ეშდაუნი, კემპბელი, ჰრეიდარსონი, დესტენი, გლენ ჯონსონი, დიოპი (67. შონ დევისი), კრანჩარი, მვუემბა, ლასანა დიარა, დეფო, ბაროში (67. ნაჯენტი).

**გოლები:** 1:0 რიგოტი (40), 2:0 თუნჯაი (53).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 11(6)-13(8); **ჯარიმა:** 16-11; **კუთხური:** 7-5; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 24 828

## რედინგი-ტოტენჰემი 0:1

**რედინგი:** ჰანემანი, შორი, ინგიმარსონი, დაბერი, როსენორი (88. ოსტერი), ბიკი (65. მატეიოვსკი), ჯეიმს ჰარპერი, ჰანტი, კიტსონი, ლიტა, დოილი (80. ლონგი).

**ტოტენჰემი:** ჩერნი, ვუდგეიტი, დოსონი, ჰატონი, ჟილბერტო, ჯენასი, მალბრანკი, ზოკორა, ჰადლსტონი (61. ოჰარა), რობი კინი (77. კევინ-პრინს ბოატენგი), დარენ ბენტი.

**გოლები:** 0:1 რობი კინი (16).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 13(6)-14(7); **ჯარიმა:** 10-7; **კუთხური:** 10-1; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 24 125

## ასტონ ვილა-ვიგანი 0:2

**ვილა:** კარსონი, მელბერგი, ნაიტი (60. ბერგერი), ლაურსენი, ბუმა (69. ჰერვუდი), სტილიან პეტროვი, ბერი, რეო-კოკერი, ქერიუ, ეშლი იანგი, აგბონლაჰორი.

**ვიგანი:** კერკლანდი, ბოისი, ბრემბლი, შარნერი, მაიკლ ბრაუნი, კუმასი, კილბეინი, ვალენსია, პალასიოსი (90. სკოკო), მარკუს ბენტი (77. მარლონ კინგი), ჰესკი (89. სიბირსკი).

**გოლები:** 0:1 ვალენსია (52), 0:2 ვალენსია (63).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 14(5)-9(5); **ჯარიმა:** 7-8; **კუთხური:** 8-1; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 42 640

## ბლექბერნი-დერბი 3:1

**ბლექბერნი:** ფრიდელი, უორნოკი, ნელსენი, სამბა, რიდი, პედერსენი (79. ოლსონი), ფოგელი (61. თუგაი), ემერტონი, ბენტლი, რობერტსი (79. დერბიშირი), სანტა კრუსი.

**დერბი:** ქეროლი, მიერსი, მური, ტოდი, მაკევილი, ედისონი, სევიჯი, ლიუისი (72. ვილია), გალი (66. სტერჟოვსკი), ერნშო, მილერი.

**გოლები:** 0:1 მილერი (19), 1:1 სანტა კრუსი (45), 2:1 რობერტსი (47), 3:1 სანტა კრუსი (77).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 25(14)-6(3); **ჯარიმა:** 12-17; **კუთხური:** 10-1; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 26 110

## ფულჰემი-ბირმინგემი 2:0

**ფულჰემი:** კელერი, კონჩესკი, აარონ ჰიუზი, სტალტერი, ჰანგელანდი, ბულარდი (88. ანდრეასენი), დენი მერფი, საიმონ დევისი, დემპსი (90. ჰილი), მაკბრაიდი, დიომანსი კამარა (67. ნევლანდი).

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, რიჯველი (46. კუოდრო), დევიდ მერფი, კელი, ჯაიდი, დემიენ ჯონსონი, კაპო (58. სარატე), ლარსონი, მუამბა, მაკფადენი, ფორსელი (74. ჯერომი).

**გოლები:** 1:0 მაკბრაიდი (52), 2:0 ნევლანდი (87).

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 9(6)-2(0); **ჯარიმა:** 10-12; **კუთხური:** 2-8; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 25 308

## ბოლტონი-სანდერლენდი 2:0

**ბოლტონი:** ალ ჰაბსი, სამუელი, ენდი ობრაიენი, სტეინსონი, კაჰილი, მეტიუ ტეილორი, ნოლანი, მაკენი, გუტრი, კევინ დევისი, დიუფი.

**სანდერლენდი:** გორდონი, ნოსვორთი (61. დერილ მერფი), ჰიგინბოთემი, კოლინსი, ევანსი, მილერი (61. ლიდბიტერი), რიდი, უაითჰედი, რიჩარდსონი, ჩოპრა (62. ოდონოვანი), ჯოუნსი.

**გოლები:** 1:0 დიუფი (42), 2:0 დერილ მერფი (83-საკ.კარში).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 4(2)-5(4); **ჯარიმა:** 11-12; **კუთხური:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 25 053

## არსენალი-ევერტონი 1:0

**არსენალი:** ფაბიანსკი (69. ლემანი), გალასი, კოლო ტურე (70. არმან ტრაორე), ებუე, კლიში, ჟილბერტო, სონგი, დენილსონი, ადებაიორი (87. სენდეროსი), უოლკოტი, ბენდტნერი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ჰიბერტი, ფილ ნევილი, იობო, ჟაგიელკა, კარსლი (81. იაკუბუ), ოსმანი, პიენაარი, მანუელ ფერნანდესი (90. ბაინესი), ენდი ჯონსონი (81. ანიჩებე).

**გოლები:** 1:0 ბენდტნერი (77)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 11(2)-8(4); **ჯარიმა:** 10-4; **კუთხური:** 8-3; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 60 123

## ლივერპული-მანჩესტერ სიტი 1:0

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, ჰიპია, ფინენი, ინსუა, ჯერარდი (78. ვორონინი), მასკერანო, ლუკას ლეივა (74. ჩაბი ალონსო), კუიტი, ტორესი, ბაბელი (68. ბენაიუნი).

**სიტი:** ჰარტი, რიჩარდ დანი, ბოლი, სუნი, კორლუკა, მარტინ პეტროვი (67. კასტილიო), ირლანდი, ელანო (67. ჰამანი), მაიკლ ჯონსონი, ვასელი (81. გარიდო), მვარუვარი.

გოლი: 1:0 ტორესი (58)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 23(11)-4(3); **ჯარიმა:** 9-5; **კუთხური:** 12-5; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 43 074

ნიუკასლი-ჩელსი დღეს

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 37 | 26 | 6 | 5 | 78-23 | 84 |
| 2. ჩელსი | 36 | 24 | 9 | 3 | 62-25 | 81 |
| 3. არსენალი | 37 | 23 | 11 | 3 | 73-31 | 80 |
| 4. ლივერპული | 37 | 20 | 13 | 4 | 65-28 | 73 |
| 5. ევერტონი | 36 | 18 | 8 | 10 | 52-31 | 62 |
| 6. ასტონ ვილა | 37 | 16 | 11 | 10 | 69-49 | 59 |
| 7. ბლექბერნი | 37 | 15 | 13 | 9 | 49-44 | 58 |
| 8. პორტსმუთი | 37 | 16 | 9 | 12 | 48-39 | 57 |
| 9. მანჩ. სიტი | 37 | 15 | 10 | 12 | 44-45 | 55 |
| 10. ვესტ ჰემი | 37 | 13 | 9 | 15 | 40-48 | 48 |
| 11. ტოტენჰემი | 37 | 11 | 13 | 13 | 66-59 | 46 |
| 12. ნიუკასლი | 36 | 11 | 10 | 15 | 44-60 | 43 |
| 13. ვიგანი | 37 | 10 | 10 | 17 | 34-49 | 42 |
| 14. მიდლსბრო | 37 | 9 | 12 | 16 | 35-52 | 39 |
| 15. სანდერლ. | 37 | 11 | 6 | 20 | 36-58 | 39 |
| 16. ბოლტონი | 37 | 9 | 9 | 19 | 35-53 | 36 |
| 17. ფულჰემი | 37 | 7 | 12 | 18 | 37-60 | 33 |
| 18. რედინგი | 37 | 9 | 6 | 22 | 37-66 | 33 |
| 19. ბირმინგემი | 37 | 7 | 11 | 19 | 42-61 | 32 |
| 20. დერბი | 37 | 1 | 8 | 28 | 20-85 | 11 |

**ბომბარდირები:** 30 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 24 - ადებაიორი (არსენალი); 23 - ფერნანდო ტორესი (ლივერპული); 19 - სანტა კრუსი (ბლექბერნი); 15 - ბენჯანი (მანჩესტერ სიტი), ბერბატოვი (ტოტენჰემი), კინი (ტოტენჰემი); 14 - ტევესი (მანჩესტერ იუნ); 13 - აიეგბენი (ევერტონი); 12 - კარუ (ასტონ ვილა), რუნი (მანჩესტერ იუნ), დეფო (პორტსმუთი), აგბონლაჰორი (ასტონ ვილა).

### ჩემპიონატი

XLVI ტური

**ბლეკპული-უოტფორდი** 1:1

გოლები: 1:0 ბურგესი (2), 1:1 ტ. სმიტი (62)

**ბრისტოლი-პრესტონი** 3:0

გოლები: 1:0 ტრუნდლი (8), 2:0 მაკინდოე (16), 3:0 ნობლი (51)

**კარდიფი-ბარნსლი** 3:0

გოლები: 1:0 პერი (44), 2:0 მაკნაუტონი (49), 3:0 ლედლი (63)

**ჩარლტონი-ქოვენთრი** 4:1

გოლები: 1:0 ვარნი (4), 2:0 გრეი (19), 2:1 მიფსუდი (20), 3:1 ბესეი (48), 4:1 პაუელი (86)

**კრ. პალასი-ბარნლი** 5:0

გოლები: 1:0 უოტსონი (8-პენ), 2:0 მოსესი (10), 3:0 სუარეში (37), 4:0 სინკლერი (61), 5:0 მორისონი (65)

**იფსვიჩი-ჰალი** 1:0

გოლი: 1:0 ლი (70)

**ქუინზ პარკი-ვესტ ბრომვიჩი** 0:2

გოლები: 0:1 კიმი (53), 0:2 ბრუნტი (77)

**სკანთორფი-კოლჩესტერი** 3:3

გოლები: 0:1 მაკლეოდი (11), 1:1 ფორტი (15), 1:2 ვერნონი (47), 1:3 მაკლეოდი (48), 2:3 ჰეიესი (67), 3:3 ჰეიესი (82)

**უენსლი-ნორვიჩი** 4:1

გოლები: 0:1 ჰაკერბი (9), 1:1 ბარტონი (23-პენ), 2:1 საჰარი (53), 3:1 ბარტონი (76), 4:1 კლარკი (87)

**საუთჰემპტონი-შეფილდი** 3:2

რბოლა ორი საკვალიფიკაციო სესიით იწყება. ამით ვლინდება პირველი ეტაპის სასტარტო ბილიკი, მეორე კი პირველის შედეგის რევერსული ვარიანტია. ბევრი ამბობს, რომ წინა ეტაპის გამარჯვებული მეორეში დაწინაურებას ვერ მოახერხებსო, მაგრამ **არჩილ ბიძინაშვილის**) მაგალითზე დავრწმუნდით, რომ ეს ასე არ არის. მან საუცხოო რეაქციით და მანევრირებით აუარა გვერდი ყველას და პირველი წრე არც იყო დასრულებული, უკვე ლიდერი იყო. ბოლო წრემდე ებრძოდა მას **ოთარ თავართქილაძე**, ზედ ფინიშის ხაზზე გადაასწრო ბიძინაშვილს, მაგრამ საერთო ჯამში გამარჯვებული მაინც ბიძინაშვილი დარჩა.

საბოლოოდ, ადგილები ასე განაწილდა: 1. **არჩილ ბიძინაშვილი** (ჰონდა სივიკი), 2. **დათა ქაჯაია** (ჰონდა სივიკი), 3. **სანდრო ლომაძე** (ჰონდა სივიკი), 4. **ოთარ თავართქილაძე** (ჰონდა სივიკი), 5. **გიორგი ნადირაძე** (ჰონდა სივიკი), 6. **მევლუდ მელაძე** (სიტროენ საქსო), 7. **ალეკო ასათიანი** (ჰონდა სივიკი). მონაწილეების უმეტესობა რბოლას ტექნიკური მიზეზით გამოეთიშა.

რაც შეეხება იუნიორებს, აქ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ხან სამი პილოტი ასპარეზობს, ხან ოთხი. **გიორგი კოდუა** და **დიმიტრი ქობულია** ერთმანეთს უცვლიან პოდიუმის პირველ საფეხურს. **დავით მენთეშაშვილი** კი ყოველთვის მათი პაექრობის შედეგს ელის, რომ როგორმე იხეიროს და იქნებ გაიმარჯვოს კიდეც.

მომდევნო ეტაპი გაიმართება 18 მაისს, მუხათწყაროში, მაყურებელი იხილავს ალმართის ჩქაროსნულ დაძლევას.

**დავით ჩუბინიძე**



ფარიკაობა. საქართველოს ჩემპიონატი

# ბარემ ქუთაისში ჩაეტარებინათ

ვაკის ფარიკაობის დარბაზში დამთავრდა მოფარიკავეთა ეროვნული ჩემპიონატი. სამდღიანი შეჯიბრება, ძირითადად თბილისელებისა და ქუთაისელების პაექრობაში წარიმართა და ეს არცაა გასაკვირი, რაკილა ამჟამად ქართული ფარიკაობის ორი ძირითადი კერა სწორედ ამ ქალაქებშია. საბოლოოდ, დედაქალაქელებმაც და ქუთათურებმაც თანაბარი რაოდენობის მედლები მოიპოვეს, მაგრამ ვერცხლის მედლების რაოდენობით არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში თბილისელებმა იმარჯვეს.

შეჯიბრების დამთავრებამდე, ტემპალებულ იმერლებს საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური

**მდივანი მორის სახვაძე ასე გაეხუმრა: "თუ ამდენი მედლის აღებას აპირებდით, თბილისში რაღად მოდიოდით, ბარემ ქუთაისში ჩაგვეტარებინაო ჩემპიონატი"...**

ისე, დედაქალაქელებმა კი იმარჯვეს, მაგრამ მათ დალხენილად ნამდვილად არ აქვთ საქმე. სახვაძის თქმით, გარდა იმისა, რომ თბილისში, ფაქტობრივად ერთადერთი ბაზა აქვთ, მწვრთნელებს ხელფასები აღარ აქვთ. მთლიანობაში კი, ქართულ ფარიკაობას კვლავ უჭირს და სანამ სული უდგია, დროულად უნდა მიხედვა...

**კობა ხატისაშვილი**

**რაპირა. ქალები**

1. თინა ბოლქვაძე (აჭარა)
2. რუსუდან წირქვაძე (თბილისი)
3. მერი გოქაძე (ქუთაისი)
3. მადონა ჩაბრაძე (თბილისი)

**რაპირა. კაცები**

1. ირაკლი ჭელიძე (აჭარა)
2. სანდრო სიხარულიძე (თბილისი)
3. ავთო ჭეიშვილი (ქუთაისი)
3. გოგა ჭოლაძე (ქუთაისი)

**ხმალი. ქალები**

1. თათია აფციაური (თბილისი)
2. თეოდორა კახიანი (თბილისი)
3. სოფო კახიანი (თბილისი)
3. ანა ფორჩხიძე (ქუთაისი)

**ხმალი. კაცები**

1. გუგა გარიშვილი (ქუთაისი)
2. დავით მთვარელიძე (თბილისი)
3. ბექა ბაზაძე (ქუთაისი)
3. ნიკა ბახსოლიანი (თბილისი)

**დაშნა. ქალები**

1. ნათია ჩაჩხიანი (ქუთაისი)
2. ფერიდე ჩაჩხიანი (ქუთაისი)
3. ხატია ლელაძე (ქუთაისი)
3. ქეთინო ქაფიანიძე (რუსთავი)

**დაშნა. კაცები**

1. დავით ელბაქიძე (თბილისი)
2. დავით არველაძე (ქუთაისი)
3. შალვა კოკოჩაშვილი (თბილისი)
3. ანდრეი აკაევი (აჭარა)

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# დღეს ადგილები გადანაწილდება

**მამული-სტუ/თელავი 0:10**

*მამული არ გამოცხადდა*

**ქუთაისი-თბილისი 12:53**

ქუთაისი: შიშინაშვილი, ხინგავა, დოლაკიძე, გ. გობეჯიშვილი (1), ტულუში, ჩხეიძე (1), ცერცვაძე (3), შარაშენიძე (3), შანიძე (1), ადამია (3), სიხარულიძე, ჯანაშია

თბილისი: ანდრიაძე, გონჩაროვი, ი. ტორონჯაძე (3), ჯიშკარიანი (1), ქარდავა (28), წივწივაძე (4), ჟღენტი, ლალანიძე (3), ყაველაშვილი (4), მაისურაძე (4), ლ. გელაშვილი, ო. ქუთათელაძე (6)

მსაჯები: ნინო ელოშვილი, ინა ჭკუასელი

**თბილისი-მამული 45:19**

თბილისი: ანდრიაძე, გონჩაროვი, ი. ტორონჯაძე (2), ჯიშკარიანი (4), ქარდავა (14), წივწივაძე (4), ჟღენტი (1), ლალანიძე (2), მაისურაძე (10), ლ. გელაშვილი (4), ო. ქუთათელაძე (4)

მამული: ბერეკაშვილი, გველესიანი (5), ჩიხლაძე (4), ლობჟანიძე (2), თეთრუაშვილი (2), მ. ქუთათელაძე (6), ზაქარეიშვილი (6)

მსაჯები: ელენე არაბული, თამარ არჩაია

**სტუ/თელავი-ქუთაისი 53:16**

სტუ: თევზაძე, გ. ტორონჯაძე, გოგალაძე (5), ა. ყიფიანი (25), მელქოშვილი, ჯორბენაძე (5), ზაალიშვილი (1), გ. ჩიქოვანი (4), კობახიძე, საჯაია (6), ი. ჩიქოვანი (4), ნიკოლაიშვილი (1), ტალახაძე (3)

ქუთაისი: შიშინაშვილი, ხინგავა, დოლაკიძე (3), გ. გობეჯიშვილი (1), ტულუში, ჩხეიძე (3), ცერცვაძე (5), შარაშენიძე (2), სვანიძე, ადამია (2), ნიკურაძე, ჯანაშია, სიხარულიძე

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში შაბათს დაიწყო ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის დასკვნითი მეხუთე წრე.**

როგორც მოსალოდნელი იყო, საწყის ორ ტურში არანაირი სენსაცია არ მომხდარა. "თბილისმა" და სტუ-"თელავმა" უპრობლემოდ გადაუარეს აუტსაიდერებს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ შაბათს საკადრო პრობლემების გამო, სტუ-სთან არ გამოცხადდა "მამული", რის გამოც მხოლოდ 0:10 წაგება ჩაეთვალა. არადა ჩვეულებისამებრ, სტუ "მამულს" ბოლო 2 წელია, ამაზე დიდი სხვაობით უგებს ხოლმე...

იმავე დღეს, სტუ-ს ართამაშით ისარგებლა "თბილისის" გოლეადორმა **ვანო ქარდავამ**, რომელმაც ერთბაშად 28 ბურთი გაიტანა. მან გუშინ კიდევ 14-ჯერ იხეირა და ბომბარდირთა დავას სათავეში მოექცა. თუმცა, გუშინ სტუელმა **ამირან ყოფიანმაც** გამოიდო თავი, რომელმაც 25-ჯერ შეარხია ქუთაისელთა კარის ბადე და პირველი ადგილი დაიბრუნა.

ამდენად, რეგულარულ ჩემპიონატში ყველაფერი დღეს, ბოლო ტურში გაირკვევა. 13:00 საათზე "მამული" და "ქუთაისი" იმ გუნდის ვინაობას გაარკვევენ, რომელიც ჩემპიონატს მესამე ადგილზე დაასრულებს. 14:30 საათზე კი "თბილისი" და სტუ შეეცილებიან ერთმანეთს რეგულარული ჩემპიონატის მოგებასა და პლეი ოფში მოედნის უპირატესობის მოპოვებას.

**კობა ხატისაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 12 | 0 | 2 | 24 |
| სტუ/თელავი | 14 | 12 | 0 | 2 | 24 |
| მამული | 14 | 2 | 0 | 12 | 4 |
| ქუთაისი | 14 | 2 | 0 | 12 | 4 |

**ბომბარდირები**

ამირან ყიფიანი (სტუ - 153)
ვანო ქარდავა (თბილისი - 142)
გიორგი წივწივაძე (თბილისი - 101)

ჰოკეი. ბლიცინტერვიუ დენის დავიდოვთან

# ერთი ნაბიჯი წაგებიდან მოგებამდე

**საქართველოს ნაკრები ახლახან დაბრუნდა დნეპროპეტროვსკიდან, სადაც საერთაშორისო ტურნირში, სტანდარტულ მოედანზე ჩატარებული 7 მატჩიდან 2 მოიგო, რაც არცთუ ცუდი შედეგია. ჩვენ გუნდს ხელმძღვანელობდა მოთამაშე-მწვრთნელი დენის დავიდოვი. გთავაზობთ მასთან ბლიცინტერვიუს.**

**- სახელი, გვარი?**

- დენის თეიმურაზის ძე დავიდოვი.

**- როდის დაიწყეთ ჰოკეის თამაში, რატომ აირჩიეთ, მაინც და მაინც სპორტის ეს სახეობა?**

- ჰოკეის თამაში დავიწყე 29 წლის წინათ, 1979 წელს.

**- რომელ ტურნირებში მონაწილეობდით?**

- 1982-86, 2007 - საქართველოს ჩემპიონატი; 1985-86 წლებში საქართველოს ჩემპიონი; 2007 - ვერცხლის პრიზიორი. ვმონაწილეობდი ტურნირში "ოქროს შაიბა", 1982-86 წლებში.

**- პოზიცია ყინულზე?**

- 2007 წლამდე ცენტრალური თავდამსხმელი ვიყავი, შემდეგ - მარცხენა მცველი.

**- სპორტში ყველაზე დიდი მიღწევა?**

- შაიბიან ჰოკეიში საქართველოს ორგზის ჩემპიონი.

**- სპორტის სხვა სახეობებიდან რომელი მოგწონთ?**

- ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ცურვა, თხილამურები.

**- რა მოგიტანათ დნეპროპეტროვსკის ტურნირმა?**

- დავუმეგობრდი კარგ ხალხს, ლამაზი ჰოკეი ვითამაშეთ და ვიბრძვით ქართული ჰოკეის გადასარჩენად.

**- როგორი უნდა იყოს იდეალური მეტოქე?**

- მას კაცურად, პატიოსნად უნდა შეეძლოს ბრძოლა გამარჯვებისთვის.

**- თქვენი კერპები ჰოკეიში?**

- ალექსანდრ მალცევი, ვალერი ხარლამოვი, ევგენი მალკინი, სიდნი კროსბი, ალექსანდრ ოვეჩკინი და, განსაკუთრებით, უეინ გრეცკი.

**- საყვარელი ჰოკეის გუნდი, გუნდი, რომელსაც თქვენ გულშემატკივრობთ?**

- საყვარელი გუნდი თბილისის "ყინულის რაინდები". ვქომაგობ "პიტსბურგ პინგვინზს".

**- კარგი ჰოკეისტის დამახასიათებელი ნიშანი?**

- იუმორის გრძნობა.

**- თქვენი პირადი სპორტული დევიზი?**

- დამარცხება და გამარჯვება ერთად დადიან.



დენის დავიდოვი

**- თქვენი მხურვალე გულშემატკივრები?**

- ყველა, ვისაც ჰოკეი უყვარს.

**- როგორია თქვენი გუნდი?**

- "რაინდები" მებრძოლები არიან, ნაღდი რაინდები. გუნდი მეგობრულია, თავს არავის დავაჩაგვრინებთ.

**დავით ჩუბინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# აიას დაბრუნება



ლოკომოტივი-აია

**ლოკომოტივი-აია 36:15**

ლოკომოტივი: (1-15) **პეტრიაშვილი, ტურაშვილი, ნაცარაშვილი, გუჯარაიძე, კორკოტაძე, გენებაშვილი, ახვლედიანი, მაისურაძე; ღვინჯილია, კვინიხიძე, ქავთარაძე, ბერძენიშვილი, კობერიძე, მარსაგიშვილი, უდესიანი** (შიოშვილი, ნიშნიანიძე, ასათიანი, ანდღულაძე, ჩაბრაძე) - *5ლ (მაისურაძე, ღვინჯილია, ბერძენიშვილი, შიოშვილი, ქავთარაძე); 4გ, ს (კვინიხიძე)*

აია: (1-15) **ტორაძე, სხულუხია, იობიძე, კანკავა, რევიშვილი, ჩიქვინიძე, დიაკონიძე, ძაგნიძე; როხვაძე, სინაურიძე, გოგლიძე, ხარატიშვილი, ბალანჩივაძე, სორდია, შალამბერიძე** (თხელიძე, მოდებაძე, გორგიძე, ფრუიძე, ლეონიძე, გუდავა, გურგენიძე) - *2ლ (სინაურიძე, გუდავა); გ,ს (სინაურიძე)*

მსაჯი: **მიხეილ ჩაჩუა**

ამ უქმეებზე დაიწყო საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი. ოთხივე მატჩი საკმაოდ დაძაბული და თვალსასეირო გამოდგა. "უნივერსიტეტმა" დიდი გაჭირვებით მოუგო "არმაზს" - 13:8. ასევე გვარიანად გაუძნელდა "ლელოს", რომელმაც "დინამო" დაამარცხა - 22:19, "აკადემიამ" კი "ყოჩებთან" 10:24 წააგო.

საინტერესო გამოდგა ქვეყნის ორი, უძველესი სარაგბო კლუბის - დედაქალაქური "ლოკომოტივისა" და ქუთაისის "აიას" მატჩი. მართალია, ქუთათურები წლეულს დაუბრუნდნენ უმაღლეს ლიგას, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ჩემპიონს მედგარი ბრძოლა გაუწიეს და თუკი 21-ქულიანი სხვაობით წააგეს, ეს მხოლოდ მათი გამოუცდელობის ბრალია. მთელ რიგ მომენტებში, "აია" საკმაოდ გამართულ, დალაგებულ რაგბს თამაშობდა, მაგრამ მეტოქის კლასის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო...

მატჩი "ლოკომოტივის" შეტევებით დაიწყო, მაგრამ პირველი ლელო ქუთაისელებმა გაიტანეს. მათ საკუთარ ნახევარზე აართვეს ბურთი მეტოქეს, სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს, მარაო გაშალეს და მარცხენა ფრთიდან **სინაურიძე** შევიდა ლელოში.

ამის შემდეგ რკინიგზელებს მნიშვნელოვანი შეცდომები ტაიმის ბოლომდე აღარ დაუშვიათ. მათ შერკინებაში დაჯაბნეს ახალგაზრდა მეტოქეები და 2 ძალუმი მოწოლა ლელოებით დაამთავრეს - ჯერ **მაისურაძემ** გაათანაბრა ანგარიში, მერე **ბერძენიშვილმა** დაუფასა თანაგუნდელებს გარჯა. მათ მონაგარს **კვინიხიძემ** თითო გარდასახვა და ჯარიმა წაამატა და "ლოკომოტივი" შესვენებაზე ათქულიანი უპირატესობით გაიყვანა - 15:5.

მეორე ტაიმი "აიამ" საკმაოდ აქტიურად დაიწყო და მატჩის გადარჩენას შეეცადა, მაგრამ 20-წუთიან მონაკვეთში კიდევ 2 ლელო მიიღო და საბოლოოდ გატყდა...

**კობა ხატისაშვილი**

| უმაღლესი ლიგა | |
|---|---|
| **უნივერსიტეტი-არმაზი** | **13:8** |
| *ლ: კავთიძე; გ,ს,ა: ბაირამაშვილი - ლ: სოსელია; ა: ჯავარაშვილი* | |
| **ლელო-დინამო** | **22:19** |
| *2ლ: იორდანიშვილი მძინარიშვილი; 4ს: ყიასაშვილი 3, ჯოგლიძე - 3ლ: სვანიძე 2, შუბითიძე; 2გ: ავლოხაშვილი* | |
| **ყოჩები-აკადემია** | **21:10** |
| *3ლ: ელოშვილი გ.კაჭარავა ბრეგვაძე; 2ს: გრძელიშვილი - 2ლ: ნებულიშვილი ლამბაშიძე* | |
| **პირველი ლიგა** | |
| **ლელო 2-თბილისი** | **59:21** |
| **დევები-ლოკომოტივი 2** | **46:5** |
| **ხულიგანა-ბათუმი** | **12:34** |
| **რუსთავი-აია 2** | **31:0** |

ჩოგბურთი

# მაკა ფლორენციაში, ანა და მაგდა ფინალში

**მაკა ჩახნაშვილმა** კან სურ მერის ტურნირი (საფრანგეთი, 100 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგში მეოთხედფინალში დაასრულა. ჩახნაშვილმა და იტალიელმა **ასტრიდ ბესერმა** პირველი წრის მოგების შემდეგ, ბრაზილიელ **ფერეირასთან** და ფრანგ **პიშესთან** წააგეს – 3:6, 1:6. მაკა ჩახნაშვილი ფლორენციაში იასპარეზებს, სადაც 25-ათასიანი ტურნირი გაიმართება. ქართველი ჩოგბურთელი განთესილთა შორის იქნება.

18 წლის **ანა ტატიშვილმა** კარგად იასპარეზა ამერიკული შარლოტსვილის ტურნირის ერთეულთა თანრიგში. 50-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ტატიშვილმა ორი ეტაპი გაიარა და მხოლოდ მეოთხედფინალში დამარცხდა. მისი მეტოქე მე-2 ნომრად განთესილი **ოლგა პუჩკოვა** იყო – 4:6, 4:6. კიდევ უკეთ გამოავლინა ანამ თავისი შესაძლებლობები წყვილთა თანრიგში, სადაც ამერიკელ **კიმბერლი კაუტსთან** ერთად ფინალში გავიდა. ნახევარფინალში ანამ და კიმბერლიმ პირველ ნომრად განთესილ დუეტს (**ადამჩაკი, სტოსური**) მოუგეს – 7:5, 6:0. ფინალში მათი მეტოქეები მეორე ნომრად არიან განთესილი – ამერიკელები, **კოპს-ჯოუნსი** და **სპირსი**.

ინდოეთის ქალაქ კოჩინში 17 წლის **მაგდა ოქრუაშვილმა** კარიერაში საუკეთესო კვირა გაატარა. ურეიტინგო ჩოგბურთელმა საკვალიფიკაციო ბადიდან ზედიზედ შვიდი მატჩი მოიგო და ტურნირის ძირითად ბადეში გავიდა. ფინალში მაგდას მეტოქე პირველ ნომრად განთესილი ინდოელი **რუშმი ჩაკრავარტი** (514) იყო. მაგდამ დიდი ბრძოლა კი გაუმართა 30 წლის მეტოქეს, მაგრამ პირველ ტიტულს მაინც ვერ შეწვდა – 4:6, 5:7. ოქრუაშვილი ქალაქ ტრივანდრუმში (ინდოეთი) გადაინაცვლებს, სადაც კოჩინში ფინალში გასვლის წყალობით ძირითად ბადეში მიიწვიეს. ტრივანდრუმის ტურნირიც 10-ათასიანია.

ამერიკაში ინდიან ჰარბორ ბიჩის ტურნირში (50 ათასი დოლარი) ორი ქართველი ითამაშებს, **სალომე დევიძე** საკვალიფიკაციო ბადეში, ანა ტატიშვილი – ძირითადში. თურქეთის ქალაქ ანთალიაში 25 – ათასიანი ტურნირია, საკვალიფიკაციო ბადეში რამდენიმე ქართველია, ძირითადში თავიდანვე მხოლოდ **სოფიო შაფათავა** დაუშვეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




მაკა ჩახნაშვილი

თავისუფალი ჭიდაობა

# 5 ლიცენზიას ვეღარაფერი შევმატეთ



დავით მოძმანაშვილის (მარჯვნივ) დაკარგული ლიცენზია ალექსი მოდებაძემ ველარ დაიბრუნა

ვარშავაში, გუშინ დასრულებულ სალიცენზიო ტურნირზე ერთადერთ ლიცენზიას გამოვრჩით - პირველივე დღეს **ბესარიონ გოჩაშვილის** (55) მიერ მოპოვებულ საგზურს მომდევნო დღეებში **მალხაზ ქურდიანმა** (60) და **ლექსო მოდებაძემ** (120) ვერაფერი შემატეს. არადა, მოდებაძეს საამისოდ დამატებითი ორთაბრძოლის მოგება დააკლდა რუმინელ **რარეს კინტოანუსთან** - ორივენი მესამეზე გავიდნენ და ლიცენზიისთვის, წესისამებრ, დამატებითი შეხვედრა იჭიდავეს.

მოდებაძემ ტურნირი ცოტა მძიმედ დაიწყო და მერვედფინალში სომეხი რუსლან ბასიევი დამატებით დროში - 1:0; 0:1; 1:0 დაამარცხა. მეოთხედფინალში არც ისე ძლიერი გერმანელი მარკუს იან ჰამანი ძირითადშივე დაჯაბნა - 2:0; 1:0. სამწუხაროდ, ნახევარფინალში ჩვენებური ჩინელ ლეი ლიანგთან ასევე ორ პერიოდში მინიმალური ანგარიშით - 0:1; 0:1 დამარცხდა. ერთი შეხედვით, თითქოს მოულოდნელი მარცხია, რადგან, ქალებისგან განსხვავებით, ჩინელი ვაჟები შედეგებით არ გამოირჩევიან, თუმცა ბოლო წლებში იქაურებმა საჭიდაო სახეობებში საგრძნობლად მოუმატეს და თავისუფალში შარშანწინ მსოფლიო ჩემპიონი ჰყავდათ. ლიანგი იქნებ არაა ტიტულოვანი მოჭიდავე, მაგრამ ეს ტურნირი კი მოიგო. არადა, მასთან შეხვედრაში მოდებაძეს რომ ემარჯვა, ლიცენზიასაც გაინაღდებდა, ამ წაგებით კი არათუ გაირთულა საქმე, როგორც მერე გაირკვა, გაიფუჭა კიდეც.

თუმცა შანსი ჯერ ისევ რჩებოდა - დამამშვიდებლის ფინალში ბერძენ ნესტორას ბაცელასს ასევე ძირითად დროში აჯობა და მესამეზეც გავიდა, უშუალოდ ლიცენზიისთვის გამართული დამატებითი ბრძოლა კი მასავით ბრინჯაოსან რუმინელთან ასევე დამატებითში წააგო. არადა, მოდებაძემ შეხვედრა აქტიურად დაიწყო და პირველი პერიოდი მოიგო კიდეც, მაგრამ მომდევნოები დათმო და ლიცენზიასთან მისული მაინც ულიცენზიოდ დარჩა.

ქურდიანმა ტურნირი დაწყებისთანავე, პირველივე წრეში პოლონელ ადამ ბლოკთან მარცხით დაასრულა - ნახევარფინალში ესეც დამარცხდა და თავად გადაერთო სანუგეშოში, ჩვენებურს კი ყველა იმედი გადაუწურა.

ამდენად, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა 5 ლიცენზია მოიპოვა. აქედან ორი - მსოფლიო ჩემპიონატზე - **ოთარ თუშიშვილმა** (66) და **გელა სალირაშვილმა** (74), ორიც - ევროპის ჩემპიონატზე - **რევაზ მინდორაშვილმა** (84) და **გიორგი გოგშელიძემ** (96), მეხუთე კი, როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, ვარშავაში **ბესარიონ გოჩაშვილმა** (55) დაისაკუთრა. შეგახსენებთ, რომ ათენის ოლიმპიადაზე 6 მონაწილე გვყავდა - მაშინ უსაგზუროდ სწორედ გოჩაშვილი დარჩა. ახლაც იგივე რაოდენობა გვეყოლებოდა, რომ არა მძიმეწონოსან **დავით მოძმანაშვილის** დისკვალიფიკაცია და ევროპის ჩემპიონის ტიტულისა თუ ლიცენზიის ჩამორთმევა. სამწუხაროდ, ამ მხრივ ახალს და მით უფრო, დამაიმედებელს ვერაფერს გეტყვით. სავარაუდოდ, ჩვენები განაჩენს აუცილებლად გაასაჩივრებენ, მაგრამ წინასწარ ვერავინ იტყვის, ეს რა შედეგს მოიტანს. ამ შემთხვევაში თავს უფლებას მივცემთ, უფრო ჩვენეული ვარაუდი გამოვთქვათ - დისკვალიფიკაციის გაუქმებაზე უფრო რეალური სასჯელის მოსალოდნელი 2-წლიანი ვადის 1 წლამდე ან 6 თვემდე შემცირება გვგონია. არც საბოლოო გაუქმებას და ლიცენზიის დაბრუნებას გამოვრიცხავთ, მაგრამ ამ შემთხვევაში რას უზამენ აზერბაიჯანელ **ალი ისაევს**? მას სწორედ მოძმანაშვილის გამოთავისუფლებული ლიცენზია გადასცეს და ამიტომ ვარშავაში არ იჭიდავა. არადა, როცა ეს ამბავი აცნობეს, სწორედ ამ ტურნირისთვის ემზადებოდა გამალებით. მრავლისმთქმელია ისიც, რომ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ არაოფიციალურად - ტელეფონით და არა ფაქსით აცნობა ჩვენს ფედერაციას, მაგ წონაში სხვა გაუშვითო. იმათი პოზიციაც გასაგებია - რაკი მეტი სალიცენზიო ტურნირი აღარ რჩებოდა, ერთგვარი შეღავათი გაგვიწიეს და ბოლო შანსი ისევ მოგვცეს.

**ირაკლი თავაძე**

## კოშკაძეს ახტა

ბატუტზე ხტომა. დანიის ქალაქ ოდენსეში დასრულდა ევროპის 21-ე პირველობა. დიდებში ორი ჩვენებური მონაწილეობდა, ჯერ **ლუბოვ გოლოვინამ** საკვალიფიკაციო ეტაპზე მე-12 შედეგი აჩვენა და ფინალური რაუნდის მიღმა დარჩა, შემდეგ კი ბატუტზე **თენგიზ კოშკაძე** ავიდა. თენგიზმა 65,60 ქულას მოუყარა თავი, რაც საბოლოოდ 22-ე შედეგი აღმოჩნდა. ბუნებრივია, ქართველი ბატუტისტი ფინალის მიღმა დარჩა. სულ ვაჟთა შორის 60 სპორტსმენი მონაწილეობდა.

**ნ. ნ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. სამწვრთნელო ამბები

# კარლაილი დალასში, დ'ენტონი ნიქსში

მომავალ სეზონში "დალას მავერიქსის" მთავარი მწვრთნელი "დეტროიტისა" და "ინდიანას" ექსდამრიგებელი **რიკ კარლაილი** იქნება - ასეთ ინფორმაციას ავრცელებს NBA-TV-ის საკალათბურთო ანალიტიკოსი **პიტერ ვესკი**. შეგახსენებთ, რომ "მავერიქსის" მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც კლუბის ხელმძღვანელობამ პლეი ოფში განცდილი მორიგი კრახის შემდეგ, თანამდებობიდან დაითხოვა **ეივერი ჯონსონი**.

კარლაილი NBA-ში მთავარ მწვრთნელად ექვსი წელიწადი მუშაობდა: ორი სეზონი "დეტროიტში" გაატარა და ოთხი - "ინდიანაში". მისი სტატისტიკური მონაგარი 281 მოგებასა და 211 წაგებას მოიცავს.

2002 წელს, ამ სპეციალისტმა სეზონის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული მოიპოვა, როცა "ინდიანას" რეგულარულ ჩემპიონატში 50 მატჩი მოაგებინა. კარლაილს "ინდიანაში" საუკეთესო სეზონი 2003-04 წლებში ჰქონდა, როცა "პეისერმა" 61 მოგებით საკლუბო რეკორდი დაამყარა, შემდეგ კი, პლეი ოფში აღმოსავლეთის ფინალს მიაღწია.

■ ■ ■

"ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" პლეი ოფის პირველ წრეში განცდილი ფიასკოს მიუხედავად, მომავალ სეზონში "დენვერ ნაგეტს" მისი ამჟამინდელი მწვრთნელი, **ჯორჯ კარლი** უხელმძღვანელებს. ეს თავად სპეციალისტმა ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურა. ამასთან, მანვე თავისი კალათბურთელები იმის გამო გააკრიტიკა, რომ ისინი მოედანზე ბოლომდე არ ასრულებდნენ მწვრთნელის დავალებებს.

*"ვფიქრობ, "ნაგეტსის" კალათბურთელები ნაცვლად იმისა, რომ მოედანზე ჩემი დავალებები შეესრულებინათ, საკუთარი ინიციატივით მოქმედებდნენ. ჩვენ ყველანი - კლუბი, სამწვრთნელო შტაბი და მოთამაშეები, მომავალ სეზონში უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ საქმეს.*

*მიუხედავად ამისა, ყველა ჩემი შეგირდი ძალიან მიყვარს. რომ დავთვალოთ, ბოლო სამი-ოთხი წელიწადი რა იყო გუნდში ცუდი და რა კარგი, დადებითს სამჯერ მეტს აღმოვაჩენთ"*, - მოჰყავს კარლის სიტყვები სააგენტო AP-ს.

■ ■ ■

ალბათ, "სან ანტონიოსთან" განადგურებას არ აპატიებენ "ფინიქსის" მთავარ მწვრთნელს, **მაიკ დ'ენტონის**. ეს სპეციალისტი არიზონულ გუნდს 2004-05 წლების სეზონიდან ავარჯიშებს და ამ დროის განმავლობაში, მისმა "სანზმა" სამჯერ წააგო საპლეიოფო სერია "სან ანტონიოსთან".

ბოლო ფიასკოს შემდეგ, დ'ენტონის "ფინიქსის" მფლობელის **რობერტ სარვერისა** და გენერალური მენეჯერის **სტივ კერის** ნდობის კრედიტი ამოეწურა და ალბათ, ამ ზაფხულს მწვრთნელს ახალი სამსახურის ძებნა მოუწევს.

როგორც იცით, ამჟამად უმწვრთნელოდ არის დარჩენილი "ნიუ იორკი" და დ'ენტონიმ შესაძლოა სწორედ "ნიქსში" ამოჰყოს თავი. თავდაპირველად, ნიუიორკულ კლუბში ახალ მწვრთნელად "ტორონტოს" დამრიგებელი **სემ მიტჩელი** მოიაზრებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დ'ენტონის "ფინიქსიდან" წასვლის შესახებ მითქმა-მოთქმა დაიწყო, "ტორონტოს" გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან კოლანჯელომ** გამოაცხადა, რომ გასული წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარებულ მიტჩელს არსად გაუშვებს, შესაბამისად, დ'ენტონის "ნიუ იორკისკენ" გზა ხსნილი აქვს.

დაბოლოს, პოსტი შეინარჩუნა რეგულარული ჩემპიონატის აუტსაიდერი გუნდის, "სიეტლ სუპერსონიქსის" მთავარმა მწვრთნელმა **პი ჯეი კარლესიმომ** და ეს მიუხედავად იმისა, რომ მისმა გუნდმა ამ სეზონში 82-დან მხოლოდ 20 მატჩი მოიგო.

**გია თვალაბეიშვილი**



ახალი ამბები

# MVP კობი იქნება

## ბინუმი პლეიოფში ვერ ითამაშებს

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** 12 სეზონი ელოდა ამ დღეს. მართალია, სეზონის საუკეთესო კალათბურთელისთვის განკუთვნილი პრიზის მფლობელი ოფიციალურად ჯერ არ დასახელებულა, მაგრამ გაზეთმა LA Times-მა სანდო წყაროთი მოპოვებული ინფორმაციით მოვლენებს დაასწრო და გამოაცხადა, რომ უახლოეს დღეებში, წლევანდელი რეგულარულის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ კობი ბრაიანტი გამოცხადდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური პრესკონფერენცია ამ კვირას გაიმართება. იგივე გაზეთის ცნობით, კობის მთავარი კონკურენტი "ნიუ ორლეან ჰორნეტსის" გამთამაშებელი **კრის პოლი** იყო.

■ ■ ■

ამასობაში, ბრაიანტის გუნდს წინ კონფერენციის ნახევარფინალური სერია ელის "იუტა ჯაზთან". კალიფორნიელების ხელმძღვანელობას იმედი ჰქონდა, რომ ახალგაზრდა ცენტრი **ენდრიუ ბინუმი** ამ სეზონში მოახერხებდა მოედანზე დაბრუნებას, მაგრამ საბოლოოდ გამოცხადდა, რომ პლეი ოფის დარჩენილ ეტაპებზე ბინუმი "ლეიკერსს" ვერ დაეხმარება.

*"მეეჭვება, ამ სეზონში მოედანზე დაბრუნება შევძლო. მუხლი ბოლომდე მორჩენილი არ მაქვს და აღდგენითი პროცედურების ჩატარება კიდევ ერთი თვე მომიწევს. ამ ეტაპზე, მუხლის გამართვაც კი მიჭირს"*, - განუცხადა LA Times-ს ბინუმმა.

შეგახსენებთ, რომ ბინუმს "ლეიკერსის" რიგებში იანვრიდან მოყოლებული არ უთამაშია.

**გია თვალაბეიშვილი**




NBA. პლე იოფი

1/8 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**ვაშინგტონი-კლივლენდი 88:105**

31:27, 17:29, 16:23, 24:26

ვ: ჯეიმისონი (23+15 მოხსნა+3 დაფარება), ბატლერი (18+9 მოხსნა), ჰეივუდი (13+10 მოხსნა), სტივენსონი (10).

კ: ლ. ჯეიმსი (27+13 მოხსნა+13 პასი), შჩერბიაკი (26), გიბსონი (22), ილგაუსკასი (12+7 მოხსნა).

სერია 2:4

**ატლანტა-ბოსტონი 103:100**

20:32, 29:18, 30:32, 24:18

ა: მ. უილიამსი (18), ბიბი (17+6 მოხსნა+7 პასი), ჰორფორდი (16+3 დაფარება), ჯ. ჯონსონი (15), ჩილდრესი (15), ჯ. სმიტი (11+3 დაფარება), ფაჩულია (9+6 მოხჩნა+2 ჩაჭრა).

ბ: გარნეტი (22+7 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), რ. ალენი (20), პირსი (17+6 პასი), პერკინსი (14).

სერია 3:3

**დასავლეთი**

**იუტა-ჰიუსტონი 113:91**

32:22, 26:32, 27:11, 28:26

ი: დ. უილიამსი (25+6 მოხსნა+9 პასი), ოქური (19+13 მოხსნა), ბუზერი (15+10 მოხსნა+5 პასი), ბრიუერი (13), კირილენკო (11+3 დაფარება), კორვერი (10), ჰარპრინგი (10).

ჰ: მაკგრეიდი (40+10 მოხსნა+5 პასი), სკოლა (15+9 მოხსნა).

სერია 4:2

1/4 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**დეტროიტი-ორლანდო 91:73**

22:22, 21,20, 22:16, 26:15

დ: ბილაპსი (19+7 პასი), ჰემილტონი (17+6 მოხსნა), პრინსი (12+8 მოხსნა+5 პასი), მაქსიელი (12+9 მოხსნა+3 დაფარება), მაკდაესი (10).

ო: რ. ლუისი (18+7 მოხსნა), თურქოგლუ (18+7 მოხსნა), დ. ჰოვარდი (12+8 მოხსნა).

სერია 1:0

**დასავლეთი**

**ნ. ორლეანი-ს. ანტონიო 101:82**

23:27, 22:22, 29:17, 27:16

ნ-ო: დ. უესტი (30+9 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (22), პოლი (17+13 პასი+4 ჩაჭრა), ჩენდლერი (10+15 მოხსნა+3 დაფარება), უელსი (10).

ს-ა: პარკერი (23), ჯინობილი (19+6 მოხსნა+7 პასი), ბოუენი (17), ფინლი (13).

სერია 1:0

NBA. პლეიოფი. 1/4 ფინალი. კალენდარი

| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
|---|---|
| **კლივლენდი (4)-ბოსტ/ატლან** | **ლეიკერსი (1)-იუტა (4)** |
| 6 მაისი | 4 მაისი. ლეიკერსი-იუტა |
| 8 მაისი | 6 მაისი. ლეიკერსი-იუტა |
| 10 მაისი | 9 მაისი. იუტა-ლეიკერსი |
| 12 მაისი | 11 მაისი. იუტა-ლეიკერსი |
| 14 მაისი* | 14 მაისი. ლეიკერსი-იუტა* |
| 16 მაისი* | 16 მაისი. იუტა-ლეიკერსი* |
| 18 მაისი* | 19 მაისი. ლეიკერსი-იუტა* |
| **დეტროიტი (2)-ორლანდო (3)** | **ნიუ ორლეანი (2)-სან ანტონიო (3)** |
| 3 მაისი. დეტროიტი-ორლანდო | 3 მაისი. ნიუ ორლეანი-სან ანტონიო |
| 5 მაისი. დეტროიტი-ორლანდო | 5 მაისი. ნიუ ორლეანი-სან ანტონიო |
| 7 მაისი. ორლანდო-დეტროიტი | 8 მაისი. სან ანტონიო-ნიუ ორლეანი |
| 10 მაისი. ორლანდო-დეტროიტი | 11 მაისი. ს. ანტონიო-ნიუ ორლეანი |
| 13 მაისი. დეტროიტი-ორლანდო* | 13 მაისი. ნ. ორლეანი-სან ანტონიო* |
| 15 მაისი. ორლანდო-დეტროიტი* | 15 მაისი. ს. ანტონიო-ნიუ ორლეანი* |
| 18 მაისი. დეტროიტი-ორლანდო* | 19 მაისი. ნ. ორლეანი-სან ანტონიო* |

# დალასი ჰოვარდს გაუშვებს

მწვრთნელის შეცვლის გარდა, "დალას მავერიქსში" შემადგენლობასთან დაკავშირებითაც საინტერესო ცვლილებები უნდა მოხდეს.

ამ გუნდში ორი მოთამაშეა ხელშეუხებელი - ლიდერი ფორვარდი **დირკ ნოვიცკი** და გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი**. ამ უკანასკნელს, ზაფხულში სხვა გუნდში მხოლოდ იმიტომ არ გაუშვებენ, რომ ეს "დალასის" მფლობელ **მარკ ქიუბანის** მხრიდან სასელექციო სამუშაოში დაშვებული შეცდომის აღიარება იქნება.

ახლა, რაც შეეხებათ სხვებს. **ჯეისონ ტერისა** და **ერიკ დამპიეს** ძალიან მაღალი ხელფასები აქვთ და სავარაუდოდ, მათ აყვანას სხვა კლუბები არ მოისურვებენ. **ჯერი სტეკჰაუსი** და **ედი ჯონსი** ასაკოვანი კალათბურთელები არიან და მათი გაცვლაც პრობლემატური ჩანს. ამ საქმისთვის არც **ბრენდონ ბასის** კანდიდატურა გამოდგება.

ასე რომ, რჩება მხოლოდ ერთი კალათბურთელი, რომლის სხვა გუნდში გაშვებით შეუძლია "დალასს" შემადგენლობის გადახალისება. ეს მოთამაშეა **ჯოშ ჰოვარდი**, რომელიც ერთ-ერთია NBA-ის იმ სამ მსუბუქ ფორვარდს შორის, ვინც საშუალოდ მატჩში ერთდროულად 19 ქულასა და 7 მოხსნას აკეთებს. ასეთივე მაჩვენებელი აქვთ **ლებრონ ჯეიმსსა** ("კლივლენდი") და **კარმელო ენტონის** ("დენვერი").

**გია თვალაბეიშვილი**

მსოფლიო ჩემპიონატი 2014

# სულ ცხრა კანდიდატია

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველთა განაცხადების მიღება დაასრულა. ბოლო ქვეყანა, რომელმაც FIBA-ში განაცხადი შეიტანა, ჩინეთი იყო. მანამდე კი, ანალოგიური ნაბიჯი კიდევ რვა ქვეყნის ეროვნულმა ფედერაციამ გადადგა. ესენი არიან: ესპანეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, დანია, რუსეთი, საუდის არაბეთი, კატარი და იტალია.

საერთაშორისო ფედერაცია კანდიდატთა ოფიციალურ სიას რამდენიმე დღეში გამოაქვეყნებს. ამის შემდეგ, 2008 წლის დეკემბრიდან 2009 წლის მარტამდე, საატესტაციო კომისია ყველა განაცხადს განიხილავს, ხოლო 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა 2009 წლის აპრილში გახდება ცნობილი.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL პლეი ოფი. 1/4 ფინალი

**დასავლეთი**

**სან ხოსე (2)–დალასი (5) 3:2 (ო)**

0:0, 0:2, 2:0, 1:0

გოლები: 0:1 ი. ლეჰტინენი-4 (ზუბოვი-2, მოდანო-5), 0:2 მოროუ-6 (ბ. რიჩარდსი-9, მიეტინენი-1), 1:2 მ. მიხალეკი-4 (ჯ. თორნტონი-8, ჩიჩუ-4), 2:2 ბ. კემპბელი-1 (რიონიკი-3, ერჰოფი-4), 3:2 პაველსკი-5.

სერია: 2:3

**აღმოსავლეთი**

**მონრეალ (1)–ფილადელფ (6) 4:6**

2:1, 1:3, 1:2

გოლები: 1:0 პლეკანეცი-4 (ბრისბუა-5, ა. კოსტიცინი-3), 1:1 უმბერგერი-8 (ჯ. სმიტი-2, ლუპული-2), 2:1 კოვალიოვი-5 (ლაპიერი-3, კომისარეკი-2), 3:1 ჰიგინსი-3 (ს. კოივუ-6, გორჯესი-3), 3:2 მ. რიჩარდსი-4 (უმბერგერი-2), 3:3 უმბერგერი-9 (დ. ჰეტჩერი-2, მ. რიჩარდსი-7), 3:4 ჰარტნელი-3 (ს. ტიმონენი-6), 4:4 ა. კოსტიცინი-5 (პლეკანეცი-5, კოვალიოვი-6), 4:5 აპშოლი-3 (ჯ. კარტერი-4, კუკონენი-2), 4:6 ნუბლი-3 (ჯ. კარტერი-5).

სერია: 1:4

## მსოფლიო ჩემპიონატი. I ეტაპი

**A ჯგუფი**

**ბელარუსი–შვედეთი 5:6**

1:2, 3:2, 1:2

გოლები: 0:1 მ. იოჰანსონი-1 (ეკმანი-1), 0:2 ნ. ბექსტრიომი-1 (ფერნჰოლმი-1, რ. ნილსონი-1), 1:2 კოსტიუჩენოკი-1 (ზადელენოვი-1, კალიუჟნი-1), 2:2 ზადელენოვი-1 (კოლცოვი-1, ლეონტიევი-1), 3:2 უნაროვი-1 (კულაკოვი-1, მიხალევი-1), 3:3 ჰორნკვისტი-1 (კ. იონსონი-1, ნ. ბექსტრიომი-2), 4:3 ჟურიკი-1 (დენისოვი-1, კალიუჟნი-2), 4:4 რ. ნილსონი-1 (ნ. ვალინი-1, რ. ვალინი-1), 5:4 მელეშკო-1 (კოსტიუჩენოკი-1, ჩუპრისი-1), 5:5 ჰორნკვისტი-2 (ი. ანდერსონი-1. ვარგი-1), 5:6 რ. ვალინი-1 (ეკმანი-2, ფროგრენი-1).

**შვეიცარია–საფრანგეთი 4:1**

2:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 ვიკი-1 (ბარტჩი-1, გერბერი-1), 2:0 შპრუნგერი-1 (ჟანენი-1, ბარტჩი-2), 3:0 ბარტჩი-1 (ამბული-1, ვიკი-1), 3:1 დესროსიერი-1 (ტრეი-1, ბორდელო-1), 4:1 სანიტცი-1 (დერუნი-1).

**B ჯგუფი**

**კანადა–სლოვენია 5:1**

1:0, 3:1, 1:0

გოლები: ჰამჰუისი-1 (ჰიტლი-1, კუნიტცი-1), 2:0 ჰიტლი-1 (გეტცლაფი-1, ნეში-1), 3:0 სენტ ლუისი-1 (ე. სტაალი-1, კეიტი-1), 3:1 კოპიტარი-1 (რაჟინგარი-1, როდმანი-1), 4:1 ჰიტლი-2 (ნეში-2), 5:1 ჰიტლი-3 (გეტცლაფი-2).

**აშშ–ლატვია 4:0**

1:0, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 ბრაუნი-1 (კეინი-1, მარტინი-1), 2:0 კეინი-1 (მარტინი-2), 3:0 პარიზე-1 (ბრაუნი-1, კეინი-2), 4:0 ო'სალივანი-1 (მიულერი-1, მარტინი-3).

**C ჯგუფი**

**გერმანია–ფინეთი 1:5**

0:0, 1:2, 0:3

გოლები: 0:1 მ. კოივუ-1 (ნისკალა-1, პელტონენი-1), 0:2 ო. იოკინენი-1 (ჰივონენი-1, მ. კოივუ-1), 1:2 ბუსხი-1 (შმიდტი-1, უსტორფი-1), 1:3 მ. კოივუ-2, 1:4 ჰივონენი-1 (ნ. კაპანენი-1, პილსტრიომი-1), 1:5 სელიანე-1 (ო. იოკინენი-1, ვაანანენი-1).

**სლოვაკეთი–ნორვეგია 5:1**

1:0, 2:1, 2:0

გოლები: 1:0 მელიხარეკი-1 (სკლადანი-1), 2:0 კოლნიკი-1 (პეტროვიცკი-1, ვიშნოვსკი-1), 3:0 პეტროვიცკი-1 (კოლნიკი-1), 3:1 ოლიმბი-1 (ბასტიანსენი-1), 4:1 მარსელ ჰოსა-1 (პეტროვიცკი-2), 5:1 პოდჰრადსკი-1 (ჰუჟევკა-1, ფაბუსი-1).

**D ჯგუფი**

**დანია–ჩეხეთი 2:5**

2:2, 0:2, 0:1

გოლები: 1:0 ლასენი-1 (დამგაარდი-1, ჰანსენი-1), 1:1 ვრბატა-1 (ჰანჟალი-1, ტ. კაბერლე-1), 1:2 კოტალიკი-1 (ვრბატა-1, კუბა-1), 2:2 ჰანსენი-1, 2:3 ვრბატა-2 (ფლიშმანი-1), 2:4 ირგლი-1, 2:5 ჰეიდა-1 (ჰანჟალი-2, ვრბატა-2).

**რუსეთი–იტალია 7:1**

1:0, 5:0, 1:1

გოლები: 1:0 სიომინი-1 (გრებეშკოვი-1), 2:0 ოვეჩკინი-1 (სიომინი-1, ს. ფიოდოროვი-1), 3:0 მოროზოვი-1 (კოვალჩუკი-1, ზინოვიევი-1), 4:0 ტერეშჩენკო-1 (აფინოგენოვი-1, პროშკინი-1), 5:0 სიომინი-2 (გრებეშკოვი-2), 6:0 სუშინსკი-1 (გოვორიკოვი-1), 6:1 ჩირონე-1 (იანონე-1, სკანდელა-1), 7:1 ზარიპოვი-1 (ზინოვიევი-2, მოროზოვი-1).

კრივი. არასატიტულო ბრძოლა

# ოქროს ბიჭმა ქულები იმყოფინა




შეტევაზეა დე ლა ჰოია

**ოსკარ დე ლა ჰოია** რინგიდან მიდის. ოღონდ, სანამ თავის სახელოვან კარიერას დაასრულებდეს, კიდევ ორი ბრძოლის გამართვას აპირებს. თავისი გამოსათხოვარი ტურნე კი ლოს ანჯელესის გარეუბან კერსონში დაიწყო, სადაც რეალითი-შოუ "კონტენდერის" ვარსკვლავს, ამერიკელ **სტივ ფორბსს** ქულებით, მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოუგო.

**ფლოიდ მეივეზერ უმცროსთან** ნაგების შემდეგ, დე ლა ჰოიამ გამოსათხოვარი ტურნეს პირველი შეხვედრისთვის შედარებით სუსტი მეტოქე აირჩია, მაგრამ ამის მიუხედავად, კერსონის "ჰოუმ დეპო სენტერში" ბრძოლას 27 000 მაყურებელი დაესწრო, რომელთა შორისაც კინოსა და სპორტის არაერთი ვარსკვლავი, მათ შორის, **სილვესტერ სტალონე, ედი მერფი, ბერნარდ ჰოპკინსი** და **შუგარ რეი ლეონრდი** იმყოფებოდნენ.

12-დან ათ რაუნდში დე ლა ჰოიას უპირატესობა აშკარა იყო. ის სხარტად გადაადგილდებოდა, ჯებითაც ეფექტურად მუშაობდა და კომბინაციებითაც ხშირად ბომბავდა მეტოქეს. შედეგად, ორმა მსაჯმა მას 119:109 მოაგებინა, ერთმა კი 120:108 დააფიქსირა.

35 წლის დე ლა ჰოიას (39-5, 30 ნოკაუტი), ვისაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულები ექვს სხვადასხვა წონაში მოუპოვებია, მომდევნო ბრძოლის გამართვა სექტემბერში სურს და პირველ რიგში, მეივეზერთან რევანში სწყურია. თუმცა, გამორიცხული არც ისაა, რომ სხვა მოკრივეს, მაგალითად, **მიგელ კოტოს** შეხვდეს.

რაც შეეხება ფორბსს, ვინც ერთხელ IBF-ის ვერსიით ზე-ბუმბულის წონაში (59 კგ-მდე) ჩემპიონის წოდებას ფლობდა და ვისაც დე ლა ჰოიასთან შეხვედრამდე მხოლოდ ერთი ბრძოლა ჰქონდა წაგებული (19-დან), განაცხადა, იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ ასეთ სუპერვარსკვლავს შევხვდიო.

დე ლა ჰოიას სასარგებლოდ ბრძოლის სტატისტიკაც მეტყველებს. მან ხელი 810-ჯერ მოიქნია და 253 ზუსტი დარტყმა განახორციელა, ფორბსის შესაბამისი მაჩვენებელი კი 776-დან 152 დარტყმა იყო. ამასთან, "ოქროს ბიჭმა" 126 ძლიერი დარტყმა განახორციელა, როცა ფორბსმა ეს 83-ჯერ შეძლო.

დე ლა ჰოიამ პირველი სამი რაუნდი შეტევაში გაატარა. ის ტანსა და თავში ურტყამდა მეტოქეს, რომელიც იძულებული იყო, თავდაცვაზე ეზრუნა და ყოველ ხელსაყრელ მომენტს კლინჩში შესასვლელად იყენებდა. პირველი სამი რაუნდი ასე მიილია. მეოთხე რაუნდის დასაწყისში, ოსკარმა "საფირმო" ცაცია ჰუკი აძგერა მეტოქეს, მაგრამ ამან მექსიკური წარმოშობის ამერიკელი ფორბსი უცებ გამოაფხიზლა. მან სახელოვანი მეტოქე ბაგირთან მიიმწყვდია და ორივე მუშტი გამეტებით მიაყარა. ამ და მომდევნო რაუნდებში, ფორბსმა უფრო მეტი ქულა დააგროვა. თანაც, შეტევაში რომ გაჯეჯილდა, არც თავის დაცვა ავიწყდებოდა და როცა დე ლა ჰოია კონტრშეტევას დააპირებდა, მის მუშტებს ადვილად აღწევდა თავს.

მაგრამ მეექვსე რაუნდში დე ლა ჰოიამ ბრძოლა თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა. მისი დარტყმები უფრო ზუსტი გახდა, ერთმა მათგანმა კი ფორბსს მარჯვენა თვალის ქუთუთო გაუხეთქა. მეშვიდე რაუნდში "ოქროს ბიჭის" უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამჯერად მან აქცენტი ჯებიდან მძლავრ დარტყმებზე გადაიტანა. აშკარა იყო, რომ ნოკაუტით მოგებას ცდილობდა. მაგრამ ფორბსმა ამის საშუალება არ მისცა. ეგ კი არა, მერვე რაუნდის მეორე ნახევარში მან ოსკარის შეტევებს ალლო აუღო და მის მუშტებს მარტივად აღწევდა თავს – მთელი რინგის გარშემო დარბოდა და როცა მომენტს შეურჩევდა, მაშინვე მძლავრ დარტყმას ახორციელებდა.

დარჩენილი ოთხივე რაუნდი დე ლა ჰოიამ მოიგო, რომელმაც უსწრაფესი კომბინაციებით თავბრუ დაახვია მეტოქეს. მართალია, ნოკაუტს ვერ მიაღწია, თუმცა ქულებით მოპოვებული გამარჯვებითაც კმაყოფილი დარჩა.

*"ვიმედოვნებდი, რომ ამ ბრძოლას ნოკაუტით მოვიგებდი ამიტომ, ქულებით გამარჯვებამ ბოლომდე ვერ დამაკმაყოფილა. მაგრამ მთავარი სულ სხვაა. მე დღეს იმ სტილში ვიბრძოლე, რომლითაც ფლოიდს (მეივეზერს) მეორე ბრძოლაში დავხვდები. მასთან სწორედ ამ ტაქტიკით ვაპირებ ბრძოლას"*, - განაცხადა "ოქროს ბიჭმა", ვისაც სეკუნდანტობას ისევ ძველი პარტნიორი, **ფლოიდ მეივეზერ უფროსი** უწევდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

**5 მაისი. ორშაბათი**

**I არხი**

22:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო.
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-რეალი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 პირდაპირი ხაზი.
17:15 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-რივერ პლეიტი.
19:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:25 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 ჰოლანდიის ჩემპიონატი. პლეიოფი. საპასუხო მატჩი. აიაქსი-ჰერენვეენი (LIVE).
00:10 საფეხბურთო ღამე.
00:40 საფეხბურთო პროგრამა.

**EUROSPORT**

10:30 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
10:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი.
12:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
14:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. თურქეთი.
16:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
21:00 მულტისპორტი.
21:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
22:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
02:30 ბრძოლა წესების გარეშე.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ფინალი. სიუდადი (ესპანეთი)-კილი (გერმანია).
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა (LIVE).
16:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი.
18:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა (LIVE).
19:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ფინალი. სიუდადი (ესპანეთი)-კილი (გერმანია).
20:00 ახალი ამბები.
20:30 BMX. მსოფლიო თასი. ავსტრალია.
21:00 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
21:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ირლანდია. თურქეთი.
23:00 ლაკროსი. აშშ-ის ეროვნული ლიგა. 1/4 ფინალი. კოლორადო-კალგარი.
00:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **არგენტინა** | |
| ლანუსი-არსენალი | 2:6 |
| ურაკანი-ხიმნასია (ხ) | 1:0 |
| კოლონი-ბანფილდი | 3:2 |
| ინდეპენდიენტე-ნიუელსი | 3:0 |
| სან მარტინი-ოლიმპო | 0:1 |
| არგ. ხუნიორსი-ესტუდიანტესი | 2:1 |
| ბოკა-რივერი | 1:0 |
| **ჩილე** | |
| კობრესალი-კოლო კოლო | 3:2 |
| უნ. ესპანიოლა-ოსორნო | 2:0 |
| უაჩიპატო-ო'ჰიგინსი | 0:1 |
| დ. კონსეპსიონი-პალესტინო | 1:3 |
| ევერტონი-ანტოფაგასტა | 3:1 |
| მელიპილია-უნ. კონსეპსიონი | 3:1 |
| უნ. ჩილე-რეინჯერსი | 1:1 |
| **კოლუმბია** | |
| ამერიკა-დეპორტესი | 3:1 |
| დეპორტივო (პას)-ნასიონალი | 0:1 |
| ჩიკო-ატლეტიკო ხუნიორი | 2:1 |
| **ეკვადორი** | |
| დეპ. ასოგესი-ტექ. უნივერს | 5:0 |
| ლიგა დე კიტო-უნ. კატოლიკა | 1:1 |
| ოლმედო-ესპოლი | 1:1 |
| დეპ. კიტო-ბარსელონა | 2:2 |
| დეპ. მაკარა-ელ ნასიონალი | 0:0 |
| **პერუ** | |
| სპ. კრისტალი-სესარ ვალეხო | 3:0 |
| ბოლონესი-ალიანსა ლიმა | 1:0 |
| სენსიანო-სპორტ ბოისი | 1:0 |
| სპორტი-სან მარტინი | 1:0 |
| ხუან აურიჩი-მელგარი | 1:0 |
| **ურუგვაი** | |
| ბელა ვისტა-სენტრალი | 1:0 |
| პროგრესო-პენიაროლი | 0:3 |
| ნასიონალი-ტაკუარემბო | 1:2 |
| რამპლა-ლივერპული | 2:0 |
| სერო-დანუბიო | 2:0 |
| უონდერერსი-ხუვენტუდი | 1:1 |
| დეფენსორი-რივერ პლეიტი | 4:3 |
| ფენიქსი-მირამარი | 2:0 |
| **მექსიკა** | |
| ტეკოსი-ვერაკრუსი | 0:0 |
| ხაგუარესი-გვადალახარა | 2:2 |
| მორელია-ტოლუკა | 2:1 |
| ტიგრესი-ნეკაქსა | 1:0 |
| ატლასი-კრუს ასული | 2:0 |
| პუმასი-პაჩუკა | 0:0 |

| აშშ | |
|---|---|
| კოლამბუსი-კანზასი | 2:1 |
| ნიუ ინგლენდი-ჩიკაგო | 0:3 |
| ჰიუსტონი-ჩივასი | 0:0 |
| სოლტ ლეიკი-ლოს ანჯელესი | 2:2 |
| სან ხოსე-დალასი | 0:0 |
| კოლორადო-დი სი იუნაიტედი | 2:0 |
| **იაპონია** | |
| კიოტო-საპორო | 1:0 |
| ოიტა-ნიიგატა | 3:1 |
| ნაგოია-გამბა | 1:2 |
| ომიია-ტოკიო | 0:3 |
| ვერდი-იოკოჰამა | 3:2 |
| ჯეფ იუნაიტედი-კაშივა | 0:1 |
| შიმიცუ-ივატა | 1:1 |
| კავასაკი-კაშიმა | 3:2 |
| კობე-ურავა | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **NBA** | |
| ბოსტონი-ატლანტა | 99:65 |
| **ევროლიგა** | |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| ტაუგრესი-მონტეპასკი | ო.ტ. 93:97 |
| **ფინალი** | |
| მაკაბი-ცსკა | 77:91 |
| **საბერძნეთი** | |
| არისი-მარუსი | 61:72 |
| ოლიმპიაკოსი-აეკ | 92:62 |
| პანიონიოსი-პანელინიოსი | 83:70 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპია | 74:55 |
| **ჰოკეი** | |
| **მსოფლიო ჩემპიონატი** | |
| რუსეთი-ჩეხეთი | ო.ტ. 5:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მიუნხენი** | |
| გონსალესი-ბოლელი | 7:6, 6:7, 6:3 |
| **ATP. ბარსელონა** | |
| ნადალი-ფერერი | 6:1, 4:6, 6:1 |
| **WTA. ფესი** | |
| მედინა გარიგესი-დულკო | 6:7, 6:7 |
| **WTA. პრაღა** | |
| ზვონარევა-აზარენკა | 7:6, 6:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. ახალი ამბები

# შარაპოვამ ქალთა ასოციაცია გააკრიტიკა

### მარიას 300 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს



წლევანდელი სეზონის ლიდერმა **მარია შარაპოვამ** მკაცრად გააკრიტიკა ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (WTA) ხელმძღვანელობა. რუსმა ჩოგბურთელმა თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განცხადება განათავსა, რომელშიც ის WTA-ს ჩინოვნიკების საქციელის გამო, უკმაყოფილებას გამოთქვამს.

*"მინდა ყველამ იცოდეს: WTA-ს ხელმძღვანელობამ მე და სხვა ჩოგბურთელები გვაიძულა, ასოციაციის სარეკლამო მიზნებით 4-საათიან გადაღებებში მიგვეღო მონაწილეობა. ხელმძღვანელობას სურს, რომ სამი დღის განმავლობაში - კვირას, ორშაბათსა და სამშაბათს გადაღებებით ვიყო დაკავებული. და ეს ლოს ანჯელესიდან 12-საათიანი ფრენის შემდეგ და რომის ტურნირის წინ ხდება. მე ჩემი წესები მაქვს, რომელთაგან ერთ-ერთი ასეთია: ტურნირის წინ არასოდეს ვიღებ მონაწილეობას გადაღებებში, რადგან ამ დროს ძალიან ვიღლები და ეს ყველაფერი კორტზე კონცენტრირებაში მიშლის ხელს".*

ამასთან, შარაპოვამ ხაზი გაუსვა იმას, რომ WTA-ს პროპაგანდული მოღვაწეობის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია, უბრალოდ, ჩინოვნიკები უნდა აფასებდნენ სპორტსმენების შრომას და ცალმხრივად არ უნდა იღებდნენ გადაწყვეტილებებს.

*"ახლა WTA-ს შეფობა მატყობინებს, რომ თუ გადაღებებზე უარს ვიტყვი, 300 ათასი დოლარით დამაჯარიმებს. როგორც ხედავთ, ასოციაცია არ ერიდება ჩოგბურთელების დასჯას და სიამოვნებითაც აკეთებს ამას. სიმართლე გითხრათ, ამ პროექტში მონაწილეობა და WTA-ს ტურის რეკლამირება ისედაც მინდოდა, მაგრამ დაუშვებელია, მნიშვნელოვანი ტურნირის წინ, ასეთი ხერხით ვინმეს გადაღება აიძულო".*

მარიას კრიტიკას უკვე გამოეხმაურა ქალ ჩოგბურთელთა ასოციაცია. *"სპორტსმენებს გარკვეული ვალდებულებები გააჩნიათ როგორც კორტზე, ასევე მოედნის მიღმა. ასოციაციის რეკლამის მიზნით რომში გადაღებები, წესების მიხედვით იყო გათვალისწინებული. ჩვენ ახალი არაფერი გამოგვიგონია"*, - ამბობს WTA-ს ოფიციალური წარმომადგენელი.

**გია თვალაბეიშვილი**

# ბოლეტიერი დოქტორი გახდება

ლეგენდარული ამერიკელი მწვრთნელი **ნიკ ბოლეტიერი** დოქტორის ხარისხს მიიღებს. 18 მაისს, ნიუ იორკის ჯანმრთელობის დაცვის კოლეჯში სპეციალური ცერემონია გაიმართება, სადაც ბოლეტიერის ოფიციალურად მიანიჭებენ ამ სტატუსს.

*"ჩემი აზრით, ნიკმა ეს პატივი უკვე დიდი ხანია დაიმსახურა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჯერ არ მინახავს ადამიანი, რომელსაც ასეთი ენთუზიაზმი გააჩნდეს და ასე მეცნიერულად უდგებოდეს თავის საქმეს"*, - აცხადებს სამენეჯმენტო კომპანია IMG-ის ვიცე-პრეზიდენტი **ტედ მიკმანი**.

ბოლეტიერიმ, პირველ რიგში, თავისი ცნობილი საჩოგბურთო აკადემიით გაითქვა სახელი. ის სხვადასხვა წლებში, მსოფლიო რეიტინგის ცხრა პირველ ნომერს ავარჯიშებდა: **ანდრე აგასი, ბორის ბეკერი, ჯიმ კურიე, მარტინა ჰინგისი, მარსელო რიოსი, მონიკა სელეში, მარია შარაპოვა, სერენა და ვენუს უილიამსები.**

**გია თვალაბეიშვილი**

ტურნირების მიმოხილვა

# ნადალმა ბარსელონას მეოთხე ტიტული მოიპოვა

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** ბარსელონას ღია პირველობის ფინალში თავისი თანამემამულე **დავიდ ფერერი** დაამარცხა და ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა ამ ტურნირის ჩემპიონის წოდება. ამგვარად, ის პირველი მამაკაცი გახდა, ვისაც ბარსელონური ტურნირი ზედიზედ ოთხჯერ აქვს მოგებული.

მოწინავე ნომრად განთესილმა ნადალმა პირველი სეტი ძალიან ადვილად მოიგო და თითქოს, არც მეორეს მოგება უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა – ფერერმა სეტებში ანგარიშის გათანაბრება შეძლო. თუმცა გადამწყვეტ სეტში ტურნირის მოქმედ ჩემპიონს ისევ თითქმის უბრძოლველად დანებდა.



რაფაელ ნადალი

ამგვარად, თიხისკორტიან ტურნირებზე ნათამაშები 21 ფინალიდან, ნადალს მოგებული ოცი აქვს. ბარსელონას ტურნირზე კი ზედიზედ 21-ე შეხვედრა მოიგო. სხვათა შორის, ამავე ტურნირზე მას ორი წელიწადია, სეტი არ წაეგო, მაგრამ ფერერმა ეს სერია მაინც შეუწყვიტა. არადა, მსოფლიოს მეორე ჩოგანს ბარსელონაში ზედიზედ 26 სეტი ჰქონდა მოგებული. თიხნარზე ნადალმა ბოლო 104 შეხვედრიდან 103 მოიგო, სულ კი, კარიერაში ნათამაშები 33 ფინალიდან 25 მოიგო. სწორედ ამდენი ტურნირის ჩემპიონის ტიტული აქვს მოპოვებული. ბარსელონაში ზედიზედ მეოთხე ტრიუმფისთვის კი, ჯილდოს სახით მან 210 000 დოლარი დაიმსახურა.

ამ სეზონში ეს ნადალისთვის მეორე მოგებული ტურნირია. პირველი მან მონტე კარლოს მასტერსზე მოიპოვა. ახლა კი რომის მასტერსზე ითამაშებს, სადაც ასევე ზედიზედ სამი ტიტული აქვს მოგებული და არაა გამორიცხული, რომ იქაც მეოთხესაც დაურთოს.

*"ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ ტურნირს ოთხი წელიწადია ვიგებ. პირველი სეტი ძალიან კარგად ვითამაშე და შედეგიც შესაბამისია. მეორეში კი ის გამოცოცხლდა. ეს სეტი მან შესანიშნავად ჩაატარა და მიხარია, რომ ამის შემდეგაც, გადამწყვეტ სეტში ისევ იოლ გამარჯვებას მივაღწიე"*, - განცხადა ნადალმა.

პირველ სეტში ჩემპიონმა ფერერის მოწოდება სამჯერ აიღო და მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო. მეორე სეტში ფერერმა ტაქტიკა შეცვალა. მან აგრესიას უმატა. თანაც, ყოველი გათამაშების დასაწყისში, საფრანგეთის ღიას სამგზის ჩემპიონს ბურთს ბექჰენდზე აწვიდიდა, მერე კი ბურთი უცებ ფორჰენდს მხარეს გადაჰქონდა და მიზანს ასე ხშირად აღწევდა. ტაქტიკის ცვლილებამ სასურველი შედეგი მოუტანა – მეორე სეტის პირველსავე გეიმში, ფერერმა ბრეიკის აღება შეძლო და შემდეგ თავისი გეიმიც იოლად მოიგო. მართალია, მერვე გეიმში ნადალმა ანგარიში გაათანაბრა (4:4), მაგრამ ფერერმა იქვე კიდევ ერთი სერვის-გეიმი აართვა და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა.

მაგრამ გადამწყვეტ სეტში ნადალმა ალღო აუღო მეტოქის ტაქტიკურ მონახაზს, რაც მალე ფერერისთვის დამანგრეველ ანგარიშში აისახა. გადამწყვეტი გამოდგა მეორე გეიმი, რომელიც დაუსრულებელი გათამაშებებით აღინიშნა. საბოლოოდ, ნადალმა შეძლო ბრეიკის აღება და აქედან მოყოლებული, ზედიზედ კიდევ სამი გეიმი მოიგო. 5:0-ზე ჩემპიონს მეტოქის სერვისზე მატჩ პოინტი ჰქონდა, მაგრამ ფერერმა მისი მოგერიება შეძლო და გეიმიც თავის სასარგებლოდ დაასრულა. თუმცა, სასწაული ველარ შემოგვთავაზა – მომდევნო გეიმშივე ნადალმა შეხვედრას წერტილი თავის მოწოდებაზე დაუსვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

| ATP |
|---|
| **BMW Open** |
| მიუნხენი (გერმანია). თიხნარი |
| **საპრიზო ფონდი:** 370 000 ევრო |
| **1/2 ფინალი** |
| სიმონე ბოლელი (იტა)-პოლ-ანრი მატიო (საფ, 1) 7:6 (1), 4:6, 7:6 (4); ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 2)-იუნეს ელ აინაუი (მაკ) 3:6, 6:4, 6:3. |
| **ფინალი** |
| ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 2)-სიმონე ბოლელი (იტა) 7:6(4), 6:7(4), 6:3 |
| **Open Sabadell Atlantico** |
| ბარსელონა (ესპანეთი). თიხნარი |
| **საპრიზო ფონდი:** 888 000 ევრო |
| **1/2 ფინალი** |
| რაფაელ ნადალი (ესპ, 1)-დენის გრემელმაირი (გერ) 6:1, 6:0; დავიდ ფერერი (ესპ, 2)-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 14) 7:6 (8), 6:3. |
| **ფინალი** |
| რაფაელ ნადალი (ესპ, 1)-დავიდ ფერერი (ესპ, 2) 6:1, 4:6, 6:1 |

| WTA |
|---|
| **ECM Prague Open** |
| პრაღა (ჩეხეთი). თიხნარი |
| **საპრიზო ფონდი:** 145 000 ევრო |
| **1/2 ფინალი** |
| ვერა ზვონარევა (რუს, 1)-კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 4) 6:2, 6:4; ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3)-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 7) 6:3, 6:2. |
| **ფინალი** |
| ვერა ზვონარევა (რუს, 1)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3) 7:6(2), 6:2 |
| **Grand Prix De SAR** |
| ფესი (მაროკო). თიხნარი |
| **საპრიზო ფონდი:** 145 000 ევრო |
| **1/2 ფინალი** |
| ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 1)-გრეტა არნი (უნგ) 6:3, 7:6 (3); ხისელა დულკო (არგ, 2)-არავან რეზაი (საფ, 4) 7:6 (6), 6:3. |
| **ფინალი** |
| ხისელა დულკო (არგ, 2)-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 1) 7:6(2), 7:6(5) |

ავტოსპორტი. ფორმულა 1

# კულტჰარდი და ფიზიკო A1-ში მიდიან?



ბოლო პერიოდში, ბრიტანული პრესა აჭრელებულია ინფორმაციებით იმის შესახებ, რომ **დევიდ კულტჰარდსა** და "რედ ბულის" ხელმძღვანელობას შორის გარკვეული კონფლიქტი წარმოიშვა. თურმე, ფორმულა 1-ის ავსტრიული საჯინიბოს შეფობას მობეზრდა ამ სეზონში ტრასებზე შოტლანდიელი პილოტის გაუთავებელი ინციდენტები და ამის გამო, დევიდის გუნდიდან გაშვება აქვს განზრახული. თუმცა გუშინ, ბრიტანულ გაზეთ Daily Mirror-ში გამოქვეყნდა "რედ ბულის" წარმომადგენლის სიტყვები, სადაც უარყოფილია ჭორები პილოტსა და გუნდს შორის არსებულ უთანხმოებაზე.

სამაგიეროდ, სრულიად განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა მეორე გაზეთი - Daily Express. თურმე კულტჰარდითა და ფორმულას კიდევ ერთი ვეტერანით - იტალიელი **ჯანკარლო ფიზიკელათი** A1-გრანპრის ბოსები ყოფილან დაინტერესებული. ამ სერიის შეფმა, **ტონი ტეიშეირამ** დაადასტურა ფორმულა 1-ის პილოტებთან მოლაპარაკების ფაქტი, თუმცა კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა.

*"დღეს არ შემიძლია გვარების დასახელება, თუმცა არ დავმალავ, რომ ჩვენ მართლაც გვქონდა ფორმულა 1-ის ოთხ პილოტთან მოლაპარაკებები. ისინი დაინტერესებულნი არიან A1-თან თანამშრომლობით. კულტჰარდი და ფიზიკელა? სიამოვნებით მივიღებდი მათ ჩვენს სერიაში. A1-გრანპრის კარი ყველასთვის ღიაა"*, - ამბობს ტეიშეირა.

**გია თვალაბეიშვილი**